# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 13 ნოემბერი, 2008 წელი.

№ 213 (6070)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## „მწვანე პარასკევი“

თუ მოსახლეობა ლარს არ ენდობა, ეს ნიშნავს, რომ ის ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას არ ენდობა





3-4

იაპ დე ჰოოპ სხეფერი:

## ნატო ალიანსის გაფართოებასა და რუსეთთან ურთიერთობებს შორის არჩევანს არ გააკეთებს



2

## მედიკამენტები 12 პროცენტით გაძვირდა

როგორც ფარმაცევტულ კომპანია „ავერსში“ განაცხადეს, ლართან მიმართებაში დოლარის გამყარებამ მედიკამენტებზეც მოახდინა გავლენა და ფასმა 12 პროცენტით მოიმატა.

„ავერსში“ ჯერ ვერ აკეთებენ პროგნოზს, დაიკლებს თუ არა მედიკამენტებზე ფასები, ვინაიდან ეს ლარის კურსზეა დამოკიდებული.

კომპანიის წარმომადგენელთა განმარტებით, თუ ლარი დოლართან მიმართებაში გამყარდება, დროთა განმავლობაში მოხდება მედიკამენტებზე ფასების დაკლებაც.

ამასთან, არსებული ინფორმაციით, ფასები უკვე გაზრდილია ტანსაცმელზე, პირველადი მოხმარების საგნებზე, სასურსათო ნაწარმსა და ბოსტნეულზე.

## განუსჯელი საქართველო




8

## ქართული მოსახლეობა გარბის სოფლიდან, რომელსაც რუსეთის ჯარი ტოვებს

The New York Times



## როცა არჩევნები მართლაც დემოკრატიულია

6-7

## ინფორმაცია

### უცხოელი დამკვირვებლები ცხინვალში შეუშვეს

**ე.წ. სამხრეთ ოსეთს ეუთოს გაეროსა და ევროკავშირის წარმომადგენლობითი დელეგაცია ეწვია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ეუთოს მოქმედი მისიის თავმჯდომარის წარმომადგენელი ჰეიკი ტალვიტიე, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი იოჰან ვერბეკე, ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი პიერ მორელი და ამ ორგანიზაციების სხვა წარმომადგენლები.**



ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, ცხინვალში ჩასული დელეგაცია ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა ბორის ჩოჩიევმა და მრჩეველმა კონსტანტინე კოჩიევმა მიიღეს.

შეხვედრაზე მხარეებმა ჟენევის 17-18 ნოემბერს დაგეგმილ საერთაშორისო კონსულტაციების შესახებ იმსჯელეს. ოსური მხარის ინფორმაციით, შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ჟენევის საერთაშორისო კონსულტაციები უნდა გაგრძელდეს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს რუსეთს შორის შექმნილი კრიზისისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონსულტაციების მეორე რაუნდის გამართვა ჟენევაში 17-18 ნოემბერს იგეგმება.

### ჰამარბერგის იმედზე დავრჩით?

**ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი თომას ჰამარბერგი თბილისში ჩამოვიდა.**

ჰამარბერგი რუსული ინტერვენციის შედეგად არსებულ მდგომარეობას პირადად შეისწავლის.

ევროკომისრის განცხადებით, მთავარი სადამკვირვებლო მისიის ეფექტიანი განხორციელება და არსებული ვითარების გაუმჯობესებაა.

ჰამარბერგი გაემგზავრება გორსა და ცხინვალში, შეხვდა საგარეო საქმეთა და ევროინტეგრაციის მინისტრებს, პარლამენტარებს, სახალხო დამცველს, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

— საქართველოში ჩემი ვიზიტის მიზანია, დავაკვირდე აგვისტოს მოვლენების შემდეგ განვითარებულ ვითარებას. არის რამდენიმე პუნქტი, რაც აუცილებლად უნდა შესრულებულიყო. ეს არის დევნილების დაბრუნება და მათთვის სათანადო პირობების შექმნა. მნიშვნელოვანია, რეგიონში კრიმინოგენური ვითარება და ადამიანის უფლებების დარღვევა აღმოიფხვრას. ასევე, ჰუმანიტარული პროგრამის განხორციელება და რეგიონში შეღწევა. უნდა ვიცოდეთ, რა ხდება და რა არის საჭირო მისიის სრული განხორციელებისთვის, — განაცხადა ჰამარბერგმა.

### ტალიავინი კვლავ გამოჩნდა

**აგვისტოს მოვლენების შემსწავლელ საერთაშორისო კომისიას შვეიცარიელი დიპლომატი ჰეიდი ტალიავინი უხელმძღვანელებს.**

შვეიცარიელი დიპლომატი, რომელიც საერთაშორისო კომისიას ჩაუდგება სათავეში, ეუთოს მისიის ხელმძღვანელი იყო კონფლიქტის ზონაში, 2002-2006 წლებში კი გაეროს მისიის საგანგებო წარმომადგენელი.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანც ვალტერ შტაინმაიერმა ტალიავინის კანდიდატურას მხარი დაუჭირა და ოფიციალურ მოსკოვსა და თბილისს მასთან კონსტრუქციული თანამშრომლობისკენ მოუწოდა.

### მამრაძე უმრავლესობას ტოვებს

**პარლამენტის წევრი პეტრე მამრაძე ადასტურებს ინფორმაციას, რომ უმრავლესობის რიგებს ტოვებს.**

როგორც პეტრე მამრაძემ განაცხადა, უმრავლესობისა და ფრაქციის დატოვების შესახებ განცხადება პარლამენტის თავმჯდომარესთან უკვე წარადგინა.

მისივე თქმით, დარჩენილია მხოლოდ ფორმალური მხარეები, თუმცა, პრაქტიკულად, უმრავლესობის რიგებში აღარ ირიცხება.

ამასთან, მამრაძის სამომავლო გეგმებში არ შედის ამჟამად არსებულ რომელიმე ფრაქციაში გაერთიანება. მამრაძის ინფორმაციით, მუშაობის გაგრძელებას დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით აპირებს.

**ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი**

## ევროპა

# იაპ დე ჰოოფ სხეფერი: ნატო ალიანსის გაფართოებასა და რუსეთთან ურთიერთობებს შორის არჩევანს არ გააკეთებს

**ნატო ალიანსის გაფართოებასა და რუსეთთან ურთიერთობებს შორის არჩევანს არ გააკეთებს, ორივე პოლიტიკური მიმართულება მნიშვნელოვანია, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოფ სხეფერმა. ეს განცხადება მან ბერლინში, არასამთავრობო ორგანიზაციების ყოველწლიურ ყრილობაზე გააკეთა.**

„ამბობენ, რომ პოლიტიკურ გაფართოებასა და რუსეთს შორის, ტერიტორიულ თავდაცვასა და საზღვარგარეთ ოპერაციებს შორის, სამოქალაქო ან სამხედრო მიდგომით ავღანეთში, ევროპულ უსაფრთხოებასა და თავდაცვის პოლიტიკასა და ნატოს შორის არჩევანი უნდა გავაკეთოთ. ეს ხალხი ალიანსის წინააღმდეგ კი არაა განწყობილი, ისინი უბრალოდ მიიჩნევენ, რომ ნატოსთვის საუკეთესო გზაა, ამბიციები და მოქმედები შეამციროს, რათა ამ უბრალო და გარკვეულ საკითხებზე პასუხები მონახოს“, — განაცხადა სხეფერმა.



მაგრამ, მისი განცხადებით, დღეს მსოფლიო ასეთი მარტივი და გარკვეული არ არის.

„არჩევნის წარმოდგენილი ვარიანტები ღრმად მცდარია. ტრანსატლანტიკური დღის წესრიგი ვარიანტს „ან-ან“ საერთოდ არ განიხილავს“, — აღნიშნა იაპ დე ჰოოფ სხეფერმა.

მისი განცხადებით, თანამედროვე მსოფლიოს სჭირდება ევროპა, სადაც ქვეყნები თავიანთი ბედის გადაწყვეტაში დამოუკიდებლები არიან და ამის გაკეთება მათ ნაცვლად სხვას არ შეუძლია.

**„ეს ნიშნავს, რომ ნატო უკრაინისა და საქართველოს მიმართ ვალდებულებებზე უარს არ იტყვის, მათ შორის იმაზე, რომ ერთ დღეს ისინი ალიანსის წევრები გახდებიან. მაგრამ როგორც პარტნიორი, ჩვენ რუსეთიც გვჭირდება, რომელიც გვენდობა და ის ახალ ევროპაში ასეთივე ნდობით სარგებლობს. თუ ვინმე ამბობს, რომ რუსეთთან კარგი ურთიერთობები აღარ შეგვიძლია, უნდა დავამტკიცოთ, რომ ეს ადამიანები ცდებიან. ჩვენ არ შეგვიძლია და მსხვერპლად არ შევწირავთ ერთ სარგებელს მეორეს“, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოფ სხეფერმა.**

მან ასევე აღნიშნა, რომ მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, როცა საფრთხეებიც გლობალურია, ერთი მხრივ ტერიტორიული თავდაცვის და მეორე მხრივ ალიანსის საზღვარგარეთული ოპერაციების არჩევანი უაზრო იქნებოდა.

„გლობალური საფრთხეებისგან დაცვა შეუძლებელია ნაციონალურ საზღვრებში“, — განაცხადა ალიანსის ხელმძღვანელმა და დასძინა, რომ სწორედ ამიტომ ნატოს სამხედრო ტრანსფორმაცია დრეკადი ძალების შექმნას ითვალისწინებს, რომლებიც ფართო სპექტრის დავალებებს შეასრულებენ, როგორც სახლში ასევე საზღვარგარეთ.

სხეფერი დარწმუნებულია, რომ ნატოსა და ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა ასევე არ შეიძლება განიხილონ, როგორც ორი შეუთავსებელი ალტერნატივა.

„ევროკავშირი, ევროპის უსაფრთოხებისა და თავდაცვის პოლიტიკის გარეშე არასრულყოფილი იქნებოდა. ტრანსატლანტიკური ურთიერთობები ნატოს გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ. სწორედ ნატომ და ევროკავშირმა ორმხრივი სტრატეგიულ პარტნიორობაზე მუშაობა უნდა გააგრძელონ არა როგორც მოწინააღმდეგეებმა, არამედ როგორც ორმა საკვანძო ინსტიტუტმა, რომლებიც არაფერს კარგავენ, არამედ ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლებით ყველაფერს იგებენ“, — აღნიშნა სხეფერმა.

მისი თქმით, ნატოსა და ევროკავშირის თანამშრომლობას უკვე აქვს ბევრი კარგი შედეგი, დაწყებული ბოსნია-ჰერცოგოვინასა და ავღანეთში ერთობლივი ძალისხმევით და აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში მეკობრეების წინააღმდეგ ქმედებებით დამთავრებული.

სხეფერმა აღნიშნა, რომ ევროპის 21 ქვეყანა ერთდროულად ნატოს წევრიც არის და ევროკავშირისაც.

## თვალსაზრისი

# სოსო ცინცაძე: სარკოზიმ არაფრანგული და პოლონეთსა და ბალტიის ქვეყნებს, რომ

***ევროკავშირის გადაწყვეტილებაზე, ევროკავშირ-რუსეთს შორის თანამშრომლობის საბაზო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების დაწყების შესახებ, იმაზე თუ როგორ აისახება ევროკავშირ-რუსეთის დაახლოება თბილისისადმი ბრიუსელის დამოკიდებულებაზე და აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებაზე, „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს ესაუბრა.***



**— ევროკავშირმა გადაწყვეტილება მიიღო, რუსეთთან ურთიერთობების აღდგენაზე მოლაპარაკებების დაწყების შესახებ. რას შეიძლება ნიშნავდეს რუსეთის მიმართ ევროკავშირის პოზიციების შერბილება და კონტაქტების აღდგენა?**

— ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება ევროკავშირ-რუსეთს შორის თანამშრომლობაზე საბაზო ხელშეკრულების გასაფორმებლად მოლაპარაკების დაწყების შესახებ, მაგრამ ყველაფერი 14 ნოემბერს ნიცაში დაგეგმილ შეხვედრაზე გადაწყდება.

ცხადია, რომ ევროპა სულ უფრო და უფრო ნათლად და ხმამაღლა აცხადებს თავის სურვილს, განაახლოს დიალოგი და თანამშრომლობა რუსეთთან. მაგრამ ევროპას არ შეუძლია უკან წაიღოს თავისი პრინციპული განცხადებები იმის თაობაზე, რომ რუსეთმა ბოლომდე უნდა შეასრულოს სარკოზი-მედვედევის ხელშეკრულების სადავო პუნქტები — აღადგინოს 7 აგვისტომდე არსებული ვითარება, ანუ რუსეთმა გაიყვანოს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან თავისი ჯარი. რუსეთი ამის კატეგორიული წინააღმდეგია და აცხადებს, რომ ახლა ახალი რეალობაა შექმნილი და აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოები არიან და რუსეთთან ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე ამ რეგიონებში რუსეთის 8 ათასამდე ჯარისკაცი დგას.

ძნელი სავარაუდოა, რომ რუსეთი დათმობაზე წავიდეს და ამ რეგიონებიდან ჯარები გაიყვანოს. ასევე, ძნელი სავარაუდოა ის, რომ ევროკავშირმა ასევე დიდხანს გააჭიანუროს ევროკავშირ-რუსეთს შორის მოლაპარაკებების დაწყება. როგორც ჩანს, ევროპული დიპლომატია შეეცდება მოდუს-ვივენდის გამოძებნას და მოახერხებს პოზიციათა დაახლოებას ორმხრივი კომპრომისების საფუძველზე. მაგრამ ის იმედები, რომელიც ჩვენ გვქონდა, ანუ რუსეთი გაიყვანდა თავის ჯარებს, ეს უკვე, სამწუხაროდ, არარეალურია.

პოლონეთმა და ბალტიისპირეთის ქვეყნებმა წინააღმდეგობა კი გასწიეს, მაგრამ სარკოზიმ არაფრანგული და არადიპლომატიური უკმეხობით მიუთითა პოლონეთსა და ბალტიის ქვეყნებს, რომ რუსეთთან ურთიერთობა აღსადგენია. საქართველოსადმი ლოიალობა კარგია, საქართველოს ევროკავშირიც ეხმარება, მაგრამ ევროპას თავისი ინტერესები და დისციპლინა აქვს, ამიტომ ევროპულმა ქვეყნებმა ერთი პოზიციით უნდა დაიწყონ რუსეთთან მოლაპარაკება.

როდესაც რუსეთ-ევროპის ურთიერთობების აღდგენას მხარს ისეთი „მძიმეწონოსნები“ უჭერენ, როგორიც არის საფრანგეთი, გერმანია, უკვე ბრიტანეთი, იტალია, რომელიც თავიდანვე მკვეთრად ანტიქართულ და პრორუსულ პოზიციაზე იყო, ძნელია წარმოსადგენია, რომ პოლონეთმა და ბალტიისპირეთმა ჩაშალოს ამ პროცესის დაწყება. ეტყობა ევროპაში ჩათვალეს, რომ მათ საქართველოს წინაშე ვალი მოიხადეს, მიაღწიეს ცეცხლის შეწყვეტას საქართველოსათვის კრიტიკულ დღეებში, შემდეგ გამოუყვეს სოლიდური ფინანსური დახმარება. გარდა ამისა, ევროპაში უკვე საგრძნობლად იხრება არა მხოლოდ საზოგადოებრივი აზრი, არამედ პოლიტიკურ წრეებშიც, რომ არც ისე ყოფილა საქმე ომის დაწყებასთან დაკავშირებით, როგორც ეს პირველ დღეებში იყო ცნობილი.

**— დასავლურ პრესაში აგვისტოს დღეებში საქართველოს მოქმედების მიმართ გამოთქმულმა კრიტიკულმა სტატიებმა თავისი როლი შეასრულეს?**

— აშკარაა, რომ აგვისტოში ომის დაწყებასთან დაკავშირებით საქართველო უკვე საინფორმაციო ომს აგებს. ომის დაწყების პირველ დღეებში, პირველი ერთი თვემთელი

ექსპერტის აზრი



***ლარის დევალვაციის შესახებ ერთი თვის წინათ გვესაუბრა ეკონომიკის ექსპერტი ლადო პაპავა, თუმცა ასე მალე თუ მოგვიწევდა კვლავ ამ თემაზე საუბარი და ღრმა ფესვების ძიება, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.***

***საქართველო სიურპრიზების ქვეყანა გახდა, ამ ბოლო დროს თვალისდახამხამებაში გვისრულდება ადრე ნავარაუდევი წინასწარმეტყველებანი, ოღონდ ექსპერტებისა და არა ნათელმხილველების. სამწუხაროდ, ექსპერტები პესიმისტური ანალიზით ხასიათდებიან ხოლმე, მაგრამ ამავე დროს ბევრად ობიექტურები არიან, ვიდრე ხელისუფლება.***

***ახლა კი იმაზე, თუ რატომ გამყარდა დოლარი თვალისდახამხამებაში, გვესაუბრება ექსპერტი ლადო პაპავა.***

სჭირდება, ბანკი ვერ უზრუნველყოფს მას, ამიტომ კლიენტმა უნდა მოიცადოს შემდეგ სამუშაო დღემდე, რომელიც არ არის ხვალ, არამედ არის ორშაბათს, რადგან ბანკები შაბათ-კვირას ისვენებენ. მაგრამ თუ კლიენტი ვერ მოიცდის ორშაბათამდე, მან თვითონ უნდა უზრუნველყოს ლარის გადაცვლა ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში. შაბათს გადამცვლელი პუნქტები თითქმის დაცარიელდა დოლარისგან და ჩამოყალიბდა სრული პანიკა. მათ არ სკევსვე? თუ ამას შეგნებულად აპირებდნენ, ეს უნდა გაეკეთებინათ ან კვირის დასაწყისში, ან შუა კვირაში და არა კვირის ბოლოს.

ამაღლობელი კი ამბობს, „მწვანე პარასკევი“ დაგეგმილი გვქონდაო, მაგრამ შაბათს, როცა ჟურნალისტები ეკითხებოდნენ უმრავლესობის წევრს პეტრე ცისკარიშვილს, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს ზურაბ მელიქიშვილს, რა ხდებაო, ისინი ამბობდნენ, არაფერი, გლობალური კრიზისიაო.



# ლადო პაპავა:

# „მწვანე პარასკევი“

## თუ მოსახლეობა ლარს არ ენდობა, ეს ნიშნავს, რომ ის ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას არ ენდობა

**— ბატონო ლადო, ლარის კურსი დოლართან მიმართებაში საკმაოდ დაეცა, ხელისუფლება ამაში ალოგიკურს ვერაფერს ხედავს და ოპტიმიზმს არ კარგავს. პრესას თვალს თუ გადავავლებთ, იქ ასეთი ტენდენცია იკვეთება, რომ ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება. თქვენ რას იტყვით?**

— ის, რაც მოხდა 7 ნოემბერს, პარასკევს, ლარის კურსთან დაკავშირებით, არის უკეთეს შემთხვევაში, არაპროფესიონალიზმი, ხოლო უარეს შემთხვევაში — შეგნებული დანაშაულის შედეგი. მსოფლიოში დოლარის გამყარების პროცესი ობიექტური ტენდენციაა (ანუ დოლარი მყარდება ყველა ქვეყანაში იმ ქვეყნის ვალუტასთან მიმართებაში), მაგრამ ეს გამყარების პროცესი მართებული იქნება, თუ წარიმართება ეროვნული ვალუტის „მცოცავი“ გაუფასურებით, რაც საშუალებას მისცემს მეწარმეებს, ბანკებს, ცალკეულ პირებს ადაპტაცია მოახდინონ შექმნილ ვითარებასთან.

**— ჰქონდა თუ არა საქართველოს მთავრობას იმის რესურსი, რომ ლარის დევალვაცია მომხდარიყო თანდათან?**

— ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, დღეისთვის ეროვნულ ბანკში სავალუტო რეზერვი მილიარდ 100 მილიონ დოლარზე ნაკლები არ არის; უბრალოდ ბოლო თვეებში შეინიშნება ტენდენცია, რომ გაზრდილი მოთხოვნაა დოლარზე. იმის ნაცვლად, რომ ეროვნულ ბანკს ცოტა უფრო სწრაფი ტემპით გაეუფასურებინა ლარი, ის ცდილობდა ეს ტემპი კიდევ უფრო დაბალი რიტმით მომხდარიყო, თითქმის შეუმჩნეველიც კი ყოფილიყო, ანუ ლარის გაუფასურება დოლართან მიმართებაში მიმდინარეობდა ბევრად ნელა, ვიდრე ეს იყო მიზანშეწონილი. ამიტომ ეროვნულმა ბანკმა პრაქტიკულად რეზერვების მნიშვნელოვანი ნაწილის ხარჯვა დაიწყო.

**— თქვენ იცით, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს დასახმარებლად შეიმუშავა 750 მილიონდოლარიანი პროგრამა, აქედან 250 მილიონი უკვე ჩამოვიდა საქართველოში, კერძოდ, ეროვნული ბანკის რეზერვში, თუმცა ერთ თვეში ეს ფული უკვე გახარჯულია, მაშინ, როცა ის სამ-ოთხ თვეზე იყო გათვლილი. რასთან გვაქვს საქმე?**

— ეროვნული ბანკი მთლად სწორად ვერ ახდენდა ინტერვენციას! გასული პარასკევიც ჩვეულებრივად გათენდა, საბანკო ვაჭრობა დაიწყო, 31 მილიონ დოლარზე მეტი განაცხადი შევიდა, მაგრამ 270 ათასზე გარიგება შეწყდა, ამის მიზეზად ტექნიკური ხარვეზი დასახელდა, თითქოს კომპიუტერულმა სისტემამ აურიაო. მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ხდება პარასკევს, ე. ი. თუ ბანკის კლიენტს ფული პარასკევს ჰქონდათ იმედი, რომ ხელისუფლება უზრუნველყოფდა ფინანსურ სავალუტო ბალანსსა და სტაბილურობას.

ნიშანდობლივია ისიც, რომ პარასკევს არანაირი კურსის ცვლილება საჯაროდ არ დაფიქსირებულა. ორშაბათს კი ეროვნულმა ბანკმა დააფიქსირა ახალი კურსი 1,65, ანუ ის არაოფიციალური კურსი, რაც შაბათს უკვე დაფიქსირდა. რადგანაც პარასკევს დოლარის კურსი ნახტომისებურად გამყარდა საქართველოში, ამიტომ პირობითად ამ ლარისთვის დამანგრეველ დღეს დოლარის გამარჯვების აღსანიშნავად **„მწვანე პარასკევად“** მოვიხსენიებ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი დავით ამაღლობელი მხოლოდ ორშაბათს გვეუბნება, რომ ეს ყველაფერი გაკეთებულია შეგნებით. თუ ეს შეგნებით იყო, რატომ არ ითქვა ეს პარადავიჯეროთ, რომ ხელისუფლება არ იყო საქმის კურსში?!

ორშაბათისთვის კი, ეტყობა, ამაღლობელმა პარლამენტიდან მიიღო დავალება, „მწვანე პარასკევი“ ლამაზად „შეეფუთა“.

**— ლარის კურსი საბოლოოდ რა დარჩება? ჯერჯერობით კვლავ 1,65 დაფიქსირდა, მაგრამ ლარის დევალვაცია ამით შეჩერდება?**

— 1,65-ზე შეჩერდა ლარის კურსი, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ალბათ ხელისუფლებამ ზეწოლა და მუქარა განახორციელა ბანკებზე და ხელოვნურად დაიჭირეს ეს კურსი.

აშკარაა ის, რომ მთლად კეთილსინდისიერად არ მოქმედებენ ისინი, ვინც ჩაშალა პარასკევის პროცესი. ხოლო თუ ეს არაკეთილსინდისიერი ქმედება იყო, მაშინ უნდა დადგეს კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი.

იხ. 4 გვ.

თვალსაზრისი

# არადიპლომატიური უკმეხობით მიუთითა რუსეთთან ურთიერთობა აღსადგენია

მსოფლიო დარწმუნებული იყო, რომ საქართველო მსხვერპლია და არა აგრესორი. ეს განწყობა თანდათანობით იცვლება. სულ უფრო და უფრო მეტი სტატიები ჩნდება ევროპულ პრესაში, იგივე „ნიუ-იორკ თაიმსში“, „სანდი თაიმსში“, ბრიტანულ „გარდიანში“, იტალიურ გაზეთებში იმაზე, რომ ომი ქართულმა მხარემ დაიწყო. ეუთოს აწ უკვე ყოფილი თანამშრომელი, ბრიტანელი ოფიცერი აცხადებს, რომ ის თვითონ იყო მოწმე იმისა, რომ ღამით ქართულმა მხარემ დაიწყო მძიმე არტილერიით ცხინვალის დაბომბვა. მისივე მტკიცებით, ქართული სოფლების დაბომბვაზე, რომელზეც ქართული მხარე ლაპარაკობდა, არ დაბომბილა. ეს უკვე თითქმის ნახევრადოფიციალური დოკუმენტაციაა. ყველაფერ ამის ფონზე გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ რუსეთი და ევროპა ამა თუ იმ ფორმით მიაღწევენ კომპრომისს და მათ შორის თანამშრომლობაზე მოლაპარაკებები განახლდება.

საინფორმაციო ომში წარმატების მისაღწევად პრეზიდენტმა ეს საქმე უნდა მიანდოს არა დილეტანტებს, არამედ პროფესიონალებს. ამ საქმით დაკავებული არ უნდა იყვნენ არაპროფესიონალი საგარეო საქმეთა მინისტრი ტყეშელაშვილი და რეინტეგრაციის მინისტრი იაკობაშვილი. საგარეო საქმეთა სამინისტროში მე ერთი ადამიანი მეგულება — გიგა ბოკერია, რომელსაც ეს საქმე ხელეწიფება. სამინისტროში რუსეთის მცოდნე ერთი კაცი იყო — გრიგოლ ვაშაძე და მას ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ასამბლის ხელმძღვანელობა ჩააბარეს.



მალე მუშაობას შეუდგება ომის დაწყების მიზეზებზე საერთაშორისო საგამოძიებო კომისია. ბერნარ კუშნერი ყოველმხრივ ცდილობს დააჩქაროს ამ კომისიის შექმნა. ამ კომისიისათვის რუსეთს უკვე გამზადებული აქვს დიდი რაოდენობის მასალა ქართული მხარის წინააღმდეგ. მე არ ვიცი, რამდენად ობიექტურია ეს მასალა მაგრამ მხოლოდ ის, რომ ოსი მოქალაქეების 3-ათასამდე კერძო საჩივარია წასული სტრასბურგში, მათთვის მიყენებული ზიანის შესახებ, უკვე ცნობილია.

არის კი მზად ჩვენი იუსტიციის სამინიტრო, რომელიც გაუთავებელი რეფორმებითაა დაკავებული, ამ კომისიას ჩვენთვის სასარგებლო მასალები წარუდგინოს. ის კომისია ალბათ დაკითხავს ეუთოს მისიის თანამშრომლებს, იგივე ცხინვალის მოსახლეობას. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი ლტოლვილებიც დაკითხონ. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საგამოძიებო კომისიის მუშაობაში ქართული მხარე აქტიურად იყოს ჩართული. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ სიმართლის დადგენას.

**— შეიძლება ითქვას, რომ ბოლომდე პრინციპულობას ევროპამ რუსეთთან თანამშრომლობა ამჯობინა და საქართველოს საკითხი იმავე მდგომარეობაში დარჩება, რომელშიაც ახლა ვიმყოფებით?**

— ევროპა არ მიგვატოვებს. ევროპისაგან ჩვენ მივიღეთ ფინანსური დახმარება. განახლდება 18 ნოემბერს ჟენევის ფორმატით დაგეგმილი კონსულტაციები. თუ ვინმე ელოდება, რომ რუსეთს აიძულებენ უკან წაიღოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობა, რუსეთს აიძულებენ ჯარების გაყვანას ახალგორიდან, საჩხერის სოფელ პერევიდან და კოდორის ხეობიდან, ცდება. ეს ძალზედ ძნელადმოსალოდნელი და მით უმეტეს ძნელად განსახორციელებელი რამ იქნება.

ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ წარმოადგენს ჟენევის მოლაპარაკებებზე ქართულ მხარეს. თუ ჟენევა, როგორც ეს პირველ სხდომაზე იყო, ჩვენი პარლამენტარების სასეირნო ადგილად აქციეს, რომლებიც ჟენევის ღირშესანიშნაობებს პირდაღებული ათვალიერებდნენ, არაფერი გამოვა. თუ მათთვის ჟენევა ექსკურსიად იქცა და იქ მარტო გიგა ბოკერიას უხდება ოფლის ღვრა, მაშინ, რასაკვირველია, არაფერი არ გამოვა და ჩვენ ჟენევის კონსულტაციებისაგან დიდ სარგებელს ვერ ვნახავთ.

**კობა ბენდელიანი**

◉ ექსპერტის აზრი

(მესამე გვერდიდან)

**— მაგრამ თუკი ხელისუფლება არის ამაში გარეული, რასაც თქვენ არ გამორიცხავთ, აქ პასუხისმგებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია...**

— დიახ, ეს გამორიცხულია, ამიტომ იმის ალბათობა, რაც 7 ნოემბრის „მწვანე პარასკევს“ მოხდა, შეიძლება განმეორდეს.

**— როგორც ამაღლობელი ამბობს, ლარის კურსის რყევა გავლენას არ მოახდენს სოციალურ ფონზეო, დასაჯერებელია?**

— მოდით, რეალურად შევხედოთ: ჩვენი სამომხმარებლო პროდუქციის 80 პროცენტი არის იმპორტირებული. იმპორტიორი ფასის დადგენის დროს გაცვლით კურსს ითვალისწინებს. როცა მცოცავი რეჟიმით ხდება ლარის დევალვაცია, ფასებიც ნელ-ნელა იცვლება. როცა „ნახტომით“ ხდება კურსის ცვლა, პროცესი არაპროგნოზირებადი ხდება. თან იმპორტიორს არ აქვს გარანტია, რომ კვლავ ნახტომისებურად არ აიწევს დოლარის კურსი; ეს უწყობს ფასების კიდევ უფრო ზრდას ხელს.



ამაღლობელი როცა ასეთ განცხადებას აკეთებდა, წესით თავისი სიტყვების მას თვითონ არ უნდა სჯეროდეს. უბრალოდ, ის არის „სახელმწიფო მანქანაში“ ჩართული და ის, რაც „მწვანე პარასკევს“ მოხდა, მის „გაპრავებას“ ახდენს.

**— რას ველოდებით მომავალში?**

— ობიექტურად, ეროვნულ ბანკს აქვს იმის რესურსი, რომ ლარმა მცოცავი კურსით გააგრძელოს დევალვაცია. ასევე 26 თვის განმავლობაში საქართველომ უნდა მიიღოს 4,5 მილიარდი დოლარის დახმარება, ანუ უცხოური ვალუტის შემოდინება იქნება. ამას ემატება ინვესტიციები, არა ისეთი დოზით, როგორიც იყო, მაგრამ მაინც, ასევე უცხოეთში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების ფულადი გზავნილები. ასე რომ, ობიექტურად, სავალუტო კრიზისის საფუძველი ქვეყანაში არ არსებობს. სუბიექტურად თუ ვიტყვით, სამწუხაროდ, არაფერი გამორიცხული არ არის! ის რაც 7 ნოემბერს, „მწვანე პარასკევს„ მოხდა, შეიძლება განმეორდეს, თუკი ამის გამო არავინ დაისჯება. სულ ცოტა პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი მაინც უნდა დადგეს.

**— ბატონო ლადო, ლარი ჯერ კიდევ საკმაოდ მყარი იყო, როცა თქვენ მის დევალვაციაზე საუბრობდით.**

— ლარის დევალვაცია გარდაუვალია, ეს ასეც იქნება, მაგრამ „ნახტომისებური“ კურსის ცვლა არ შეიძლება. ამ ფაქტორის ყველაზე ცუდი მხარე არის ისიც, რომ საქართველოს ეკონომიკაში დოლარიზაციის დონე კიდევ უფრო მაღალი გახდება. და კიდევ იტყვიან, რომ ეს შეგნებით გააკეთეს?

**— ასე ამბობენ, რომ ამისთვის ყველაზე ოპტიმალური დრო შევარჩიეთო...**

— ოპტიმალური დროც ისეთივე გაუგებარი ფრაზაა, როგორც სხვა დანარჩენი. ის რაც გაკეთდა ეს არის ქვეყნისთვის მავნებლობა, მთავარი ჩვენთვის ის არის, რომ გლობალიზაციის პირობებში ჩვენ კიდევ უფრო მინდობილი ვიქნებით უცხოურ ვალუტას, ხოლო ლარის მიმართ ჩვენი მოსახლეობის დამოკიდებულება კიდევ უფრო უარყოფითი იქნება.

ბანკები სესხებს აღარ გასცემენ ლარებში, არც ანაბრები გაიხსნება ლარებში და ა.შ. რას ნიშნავს ლარის მიმართ ნდობა? — სხვა სიტყვებით, ლარის მიმართ ნდობა ეს არის ნდობა ხელისუფლების მიმართ ეკონომიკური კუთხით. თუ მოსახლეობა ლარს არ ენდობა, ეს ნიშნავს, რომ ხალხი ხელისუფლებასა და მის ეკონომიკურ პოლიტიკას არ ენდობა.

**— ხელისუფალნი ამბობენ 2008 წლის ბიუჯეტს ეს პროცესი წაადგებაო, და აქვე გკითხავთ, რა გაცვლითი კურსის მიხედვით გაიწერება 2009 წლის ბიუჯეტი?**

— კარგით რა, ამაღლობელს ვიცნობ და ვერ წარმომიდგენია, როგორ მოახერხა ერთ გამოსვლაში ამდენი შეცდომის დაშვება. მარტივ რამეს გეტყვით: იმპორტზე დაწესებულ გადასახადს **ლარში** იხდიან, ამიტომ ბიუჯეტი მიიღებს მეტ საგადასახადო შემოსავალს, მაგრამ იმავდროულად მთავრობა აგებს შემდეგ, ხარჯვას რომ მიადგება, რადგანაც ეს ხარჯები გაზრდილი ინფლაციის გამო ნაკლები რეალური ღირებულებისაა. ამას **„ოლივერ-ტანცის“** ეფექტი ჰქვია, მაგრამ ეს ეფექტი რთული გასაგებია ჩვენი მთავრობისთვის...

რაც შეეხება 2009 წლის ბიუჯეტს, გეტყვით, რომ 2007 და 2008 წლის ბიუჯეტი ისე დამტკიცდა, რომ არ იყო მითითებული გაცვლითი კურსი. აღმოჩნდა, რომ იმპორტზე სხვა გაცვლითი კურსით იყო ბიუჯეტი გათვლილი, ხოლო ექსპორტზე სხვა კურსით. თავისთავად ეს იყო მარაზმი! ახლა როგორ იქნება არ ვიცი...

ესაუბრა
**თეა მოსია**

# ლადო პაპავა:

# „მწვანე პარასკევი“

**თუ მოსახლეობა ლარს არ ენდობა, ეს ნიშნავს, რომ ის ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას არ ენდობა**

◉ ოპოზიცია

# ამნისტიის კანონპროექტი ხელისუფლების მორიგი ფარსია

***პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი საქართველოსთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ მოსალოდნელი ამნისტიის შესახებ გამოქვეყნებული კანონპროექტის თაობაზე კონსერვატიული პარტიის ოფისში საგანგებო ბრიფინგი გამართა. მისი თქმით, პროექტის მომზადებაში მონაწილეობის საშუალება არ მიეცა ქვეყნის არც ერთ რეალურად ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას და ხელისუფლებამ იგი საკუთარ ინტერესებს მოარგო:***



— „პროექტი არ ეხება პოლიტიკურ პატიმრებს, რომლებიც დაკავებული არიან შემდეგი მუხლებით: 225-ე (მასობრივი არეულობა), 236-ე (იარაღის ტარება), 239-ე მუხლის მე-2 ნაწილი (ხულიგნობა), 315-ე (მასობრივი არეულობა, შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად), 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 353-ე (წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის მიმართ) და სხვ;

ამნისტიის პროექტი ასევე არ ეხება სხვა ნაკლებად მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულებს და შესაბამისად იგი არსებითად არ შეამცირებს პატიმართა რაოდენობას. კონკრეტულად, პროექტი არ ითვალისწინებს შემდეგ მუხლებს: — 190-ე (კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელის შეშლა), 193-ე (ცრუ მეწარმეობა), 199-ე (ეკომარკით უკანონოდ სარგებლობა), მე-200[1] (ყალბი აქციზური მარკების დამზადება, გასაღება ან/და გამოყენება), მე-200[2] (აქციზური მარკების მეორადი გამოყენება ან/და მათი სხვა პირისათვის გადაცემა), 218-ე (გადასახადისათვის თავის არიდება), 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ბოროტად გამოყენება), 388-ე, 389-ე სამხედრო სამსახურის თვითნებურად მიტოვება, დეზერტირობა). ასევე — ნარკოტიკების მომხმარებლის გათავისუფლებას სასჯელის მოხდისგან.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მომხმარებელია არა მხოლოდ 260 მუხლის 1 ნაწილით გასამართლებული პირი, არამედ ამ მუხლის II ნაწილით მსჯავრდებულიც, ვინაიდან მთელი რიგი ნარკოტიკული ნივთიერებებია, რომელთა მომხმარებლის დასჯა, ოდენობის მიუხედავად, 260 მუხლის II ნაწილიდან იწყება (მაგ. ჰეროინი). არაფერს ვამბობ იმაზე, რომ უამრავი ადამიანი სასჯელს იხდის „ჩადებული ნარკოტიკების“ გამო.

იგივე ითქმის 273-ე მუხლზეც, რომელზეც კანონპროექტი მხოლოდ სასჯელის განახევრებას ითვალისწინებს, მაშინ, როცა სანქცია ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულსხმობს.

რაც შეეხება ამნისტირებულ მუხლებს, ესენია: მონოპოლიური საქმიანობა და კონკურენციის შეზღუდვა; პროფესიული სპორტული შეჯიბრებების ან კომერციული სანახაობითი კონკურსის მონაწილის მოსყიდვა; განცხადების შეუტანლობა გაკოტრებისას; ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენება; სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევა; ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობა (სხვათა შორის, ეს მუხლი წინა ამნისტიაშიც შევიდა, მაგრამ არავინ ამ ბრალდებით დაკავებული არ ყოფილა და არც ამჟამადაა); კაპიტნის მიერ გემის განსაცდელში მიტოვება; ხე-ბუჩქის უკანონოდ გაჩეხვა; სახელმწიფო ჯილდოს შექმნა და უკანონოდ გასაღება; უფროსის მიმართ ძალადობა და ა. შ.

შეგახსენებთ, რომ ჩამოთვლილი მუხლებით მსჯავრდებულები საპყრობილეებში არა გვყავს და ეს ამნისტია ხელისუფლების მორიგი ფარსია, — დასძინა ეკა ბესელიამ.

დასასრულ მან კიდევ ერთხელ „მოუწოდა“ ხელისუფლებას, რომ ამნისტიის პროექტში აუცილებელი კორექტივების შეტანის მიზნით დაუყოვნებლივ, 23 ნოემბრამდე, ჩატარდეს კონსულტაციები რეალურ ოპოზიციასთან.

**ჯაბა ჟვანია**

◉ ინფორმაცია

# ჰაოს, როდის გაგახსენდა ქართლოსი?

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ვიზიტით სომხეთის თავდაცვის მინისტრი სეირან ოჰანიანი ეწვია.**

**დახვედრის ოფიციალურ ცერემონიას საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი ხელმძღვანელობდა.**

**მინისტრებმა დახურული შეხვედრისას სხვადასხვა პრობლემურ საკითხზე, მათ შორის, ორი ქვეყნის მომავალ ურთიერთობებსა და სამხედრო სფეროში თანამშრომლობაზე ისაუბრეს.**

**შეხვედრის შემდეგ საქართველოს თავდაცვის მინისტმა დავით კეზერაშვილმა აღნიშნა, რომ საუბარი სამხედრო ტექნიკურ თანამშრომლობას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა. მანვე განაცხადა, რომ საქართველოს ჰქონდა კითხვები და აინტერესებდა რა მდგომარეობაა ამ დროსათვის სომხეთში, ვინაიდან იქ რუსული სამხედრო ბაზებია განთავსებული.**

**სომხეთის თავდაცვის მინისტრმა კი აღნიშნა, რომ საქართველოსთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორთან, თანამშრომლობას ინტენსიური სახე ექნება. მანვე უარყო გავრცელებული ინფორმაცია, რომ აგვისტოს მოვლენების დროს, რუსეთი საქართველოს დაბომბვისთვის სომხეთის საჰაერო სივრცეს იყენებდა.**

**ოჰანიანის განცხადებით, ყველა მოლაპარაკებასა და ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ რუსულ მხარეს სომხეთის ტერიტორიაზე არსებული ბაზების გამოყენების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს თუ საფრთხე უშუალოდ სომხეთს დაემუქრება.**

**მინისტრები მოგვიანებით მცხეთის ღირშესანიშნაობებს დაათვალიერებენ. სომხეთის თავდაცვის მინისტრი საქართველოს ხვალ დატოვებს.**

# ჟურნალისტის დაცვა თურმე პოლიციას არ ევალება

**როგორც თელავის ტელეკომპანია „თანამგზავრის“ ეთერში გასული სიუჟეტიდან გახდა ცნობილი, თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში მომხდარი ინციდენტის გასაშუქებლად მისულ კორესპონდენტებს, ინციდენტის ერთ - ერთი მხარის წარმომადგენლებმა, ფიზიკური ძალის გამოყენებით, გადაღების საშუალება არ მისცეს. ჟურნალისტებისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტს შს კახეთის მთავარი სამხარეო სამმართველოს თელავის პოლიციის თანამშრომლები შეესწრნენ, მაგრამ სამართალდამცავებმა დანაშაული არ აღკვეთეს.**

**შეგახსენებთ, რომ გუშინ თელავის პოლიციის თანამშრომლები შპს „კახეთის საარბიტრაჟო სასამართლოს“ გადაწყვეტილების საფუძველზე სახლიდან ალიოშა ორუჯოვის, მის მეუღლესა და მცირეწლოვან შვილს ასახლებდნენ. სამართალდამცავების ქმედება ორუჯოვის ახლობლებმა და მეზობლებმა გააპროტესტეს, რის გამოც პოლიციის თანამშრომლებმა მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.**

**ტელეკომპანია „თანამგზავრის“ კორესპონდენტის ია გულიაშვილის ცნობით, გადამღებ ჯგუფს მუშაობაში ხელი ორუჯოვის მოწინააღმდეგე მხარის იაშა უსუპოვის წარმომადგენლებმა შეუშალეს. ფიზიკური ძალის გამოყენებით ტელეკომპანიის ოპერატორს ინციდენტის გადაღების საშუალებას არ აძლევდნენ. ჩხუბის დროს ტელეკომპანიის კუთვნილი ვიდეოკამერა დაზიანდა. ჟურნალისტმა იქ მყოფ პოლიციის თანამშრომლებს დახმარება არაერთხელ სთხოვა, მაგრამ სამართალდამცავებს რეაგირება არ მოუხდენიათ.**

**„ადამიანის უფლებათა ცენტრი“ მიმართავს პროკურატურას, დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება თელავის პოლიციის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე.**

ინტერპრესნიუსი და ჰი-ეიჩ-ენი

ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

ზურაბ ავალიშვილი

# საქართველოს შეერთება რუსეთთან

საერთოდ, ქართველები ახერხებდნენ, თანხმობა ჰქონოდათ ქერიმთან, რომელიც არც იყო ისეთი გავლენიანი, რომ თავს მოეხვია მათთვის საკუთარი ნება: იგი შაჰადაც კი არ იწოდებოდა, იყო ვაქილი (რეგენტიძ. ქართველები კი იმდენ წინდახედულებას იჩენდნენ, რომ ერიდებოდნენ გამომწვევ მოქმედებას ქერიმ-ხანის მიმართ (აი, რას ამბობს თვით ერეკლე თავის ურთიერთობაზე სპარსეთის ამ სიმპათიურ გამგებელთან: ქერიმ-ხანი შირაზს იმყოფება და მეგობრობას აღგვითქვამს, ჩვენც გავუგზავნეთ წიგნი და მეგობრობა შევუთვალეთ; Грамоты, etc.437-438ძ. ნიშანდობლივია, რომ ახლა, როდესაც თეიმურაზი და ერეკლე სრულიად დამოუკიდებელნი და თავისუფალნი იყვნენ, მათ არ გაუწყვეტიათ კავშირი სპარსეთთან. ეს ძალიან ჭკვიანური ნაბიჯი იყო, „ვალის“ წოდება მათ ანიჭებდა კიდევ ერთ ზამბარას სპარსეთის პოლიტიკაში, ხოლო უარის თქმა მეზობელი ყაენების პლეადასთან ყველაზე ქმედითს ურთიერთობაზე ქართველებს არ შეეძლოთ, ვინაიდან სწორედ ერთთა მფარველობისა და მეორეთა მოთოკვის გზით მიაღწია ერეკლემ იმ პრესტიჟს და იმ პირველკაცურ მდგომარეობას, რომლებითაც საკმაოდ დიდხანს სარგებლობდა.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ კავშირი ირანთან, რომლის ვასალიც იყო თეორიულად ერეკლე როგორც გურჯისტანის ვალი — რომ ეს კავშირი, ზოგჯერ, ძველ დროში, ესოდენ სამძიმო, ახლა ერეკლეს ხელში, გადაიქცევა მისი პოლიტიკის ბერკეტად, რომელიც მის ინტერესებს ემსახურება. მაგრამ ასეთ გზაზე მიღწეული წარმატებანი ვერ იქნება მყარი.

როგორც არ უნდა გადაფარო ამ კავშირის პირვანდელი აზრი, მისი ნაგულისხმევი იურიდიული მნიშვნელობა ძალების ფაქტობრივი თანაფარდობით — თვით იდეა, იმის ფიქრი, რომ საქართველო, ასე თუ ისე, ირანის გავლენის სფეროში შედის, კვლავინდებურად ღუის, ვით ნაკვერჩხალი, ბოლომდე რომ არ ქრება მიწაწაყრილი და დამალული.

დადგება დღე, და ახალი დინასტია — ყაჯარებისა — შეეცდება, გააცოცხლოს დრომოჭმული თეორია. მაგრამ მას ეყოფა ძალა მხოლოდ საიმისოდ, რომ შური იძიოს მთელი სისასტიკით ძლიერებისა, რომელსაც არ ძალუძს, შემოქმედი იყოს: ხოლო აბასისა და ნადირის ხანას XVIII და XIX საუკუნეების მიჯნაზე ვერ დაუბრუნდები!

## თავი მეექვსე. ქართველთა მონაწილეობა პირველ ომში ოსმალეთის წინაალმდეგ იმპერატრიცა ეკატერინე II-ის დროს

### I.

დიდმა, ბრწყინვალე ეკატერინე II-მ და მისმა თავდაჯერებულმა ნიჭმოსილმა დიდებულებმა უეცრად აღმოაჩინეს საბაბი, მიეპყროთ უშუალო ყურადღება საქართველოსა და მისი მეფეებისათვის.

საქართველო ძველთაგან ურთიერთობდა რუსეთთან: თანდათან, ისინი, ვისაც ამის „განმრიგეობა ევალებოდა“, მიეჩვივნენ საქართველოს წარმოგზავნილების, ზოგჯერ თვით გამგებლების, ხშირად ბატონიშვილების, სასულიერო პირების, თავადების და ა.შ. გამუდმებულ სიარულს ასტრახანში, ყიზლარში. დროთა განმავლობაში დამკვიდრდა პრაქტიკა მათი შემდგომი მსვლელობის, მათთვის ჭამა-სმის ფულის გამოყოფისა სხვა საკითხებთან დაკავშირებით „უწინდელი მაგალითების მიხედვით“. ბოლოს და ბოლოს, რუს დიპლომატებს ჩამოუყალიბდათ წარმოდგენა პატარა ერთმორწმუნე ხალხსა და მის გამგებლებზე, ნიადაგ რომ „აბეზრებდნენ თავს“ თხოვნით დახმარების, დაცვის შესახებ. რა ნახა, ეს მთავარნი თვითონ გვეძლევიან ქვეშევრდომებად, მიუხედავად იმისა, დავეხმარებით, თუ არ დავეხმარებითო, რუსეთის მთავრობამ მათ მეტ-ნაკლებად მოწყალე თვალით დაუწყო ყურება.

მაგრამ ზოგჯერ პოლიტიკური გარემოებანი ისე ეწყობოდა, რომ საქმე მიდიოდა პოლიტიკამდე ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მიდიოდა ხელშესახებ შედეგებამდე.

ჩვენ უკვე ვთქვით, თუ რა როლი შეასრულეს ქართველებმა პეტრე დიდის სპარსეთის ლაშქრობაში.

ახლა მივმართოთ იმპერატრიცა ეკატერინე II-ს პირველ ომს ოსმალეთის წინააღმდეგ და ამ ომში ქართველთა მონაწილეობას.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ომი, ეკატერინეს საუცხოეთო პოლიტიკის საჯილდაო ქვა, რუსეთისათვის იყო ძალზე ძნელი და რთული საქმე, რომლის წარმოებისა და ლიკვიდაციის დროსაც უაღრესად სერიოზულად უნდა გაეწია ანგარიში ევროპის სახელმწიფოებისათვის, მეტადრე, პრუსიისა და ავსტრიისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ პოლონეთის რესპუბლიკაზე, რომლის ჟამმა სულ მალე დაჰკრა.

თუ სწორი პერსპექტივით განვიხილავთ ამ საისტორიო მოვლენას, მაშინ ტოტლებენის ამიერკავკასიის ექსპედიცია და ომში ქართველთა მონაწილეობა წარმოგვიდგება როგორც მეორეხარისხოვანი დამატებითი ეპიზოდი ბრძოლისა, რომელიც მიმდინარეობდა ევროპის თვალწინ და, უპირატესად, მოქმედების საევროპო თეატრზე.

მთელ ამ კამპანიას, ე.ი. საექსპედიციო კორპუსის გაგზავნას საქართველოში აშკარად ეტყობა ავანტიურიზმის, XVIII საუკუნის „პროჟექტერობის“ სულისკვეთება.

როდესაც (პორტასთან კავშირის გაწყვეტისთანავე დაფუძნებულიძ საბჭოს ერთ-ერთ პირველ სხდომაზე ეკატერინემ მოიწვია ამ საბჭოს დარბაისელნი, გამოეთქვათ აზრი, თუ „ვინმემ რაიმე მოიფიქრა საქმის სარგებლობისათვის“, ორლოვმა შესთავაზა თავისი ექსპედიცია ხმელთაშუა ზღვაში; და შემდეგ გადაწყდა, მოეწოდებინათ ოსმალეთის ოლქებში მცხოვრები მართლმადიდებლობისათვის, აესხათ იარაღი; სავარაუდოთ, უნდა აეჯანყებინათ მორეა, დალმაციელები, ჩერნოგორიელები და საქართველო, ამასთან, სათქმელად უნდა ჰქონოდათ, რომ რუსეთი იძულებულია, აწარმოოს ომი ოსმალებთან კანონისათვის. ერთი სიტყვით, ხალხს უხმობდნენ, მიეღო მონაწილეობა თავისებურ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მაჰმადიანების წინააღმდეგ. ეს პროექტი, რა თქმა უნდა, აღმოჩნდა ყოვლად უმაქნისი და უსარგებლო, მაგრამ — უსაფრთხოც რუსეთისათვის.

მაშ ასე, აი, რატომ გაახსენდათ ქართველები. სწორედ ისინი ჩაითრიეს ოსმალებთან ომში; მაგრამ როგორც მოვლენებმა ცხადყვეს, ის, რაც რუსეთისათვის მხოლოდ ეფექტური, რუტინისაგან გამორჩეული გამოხტომა იყო, საქართველოსათვის არცთუ სახუმარო, უკიდურესად სარისკო და სახიფათო საქმე იქნებოდა.

რაკიღა გადაწყდა, ამრიგად, განეწყოთ ქართველები ომში მონაწილეობისათვის, დაიწყეს გაკითხვ-გამოკითხვა, ცნობების შეგროვება. თვით იმპერატრიცა სთხოვდა საგარეო საქმეთა კოლეგიას პასუხს მთელ რიგ კითხვებზე, საქართველოს რომ ეხებოდა. კოლეგიაში შეადგინეს „განსჯა იმ ხერხთა შესახებ, რა ხერხებითაც შეიძლება დაყოლიებულ იქნენ ქართველები მონაწილეობაზე ოტომანთა პორტასთან მოსალოდნელ ომში“.

სოლომონის, იმერეთის მეფის თანხმობის მიღება არ იყო ძნელი საქმე: ოსმალებთან ომს იგი ჩვეული იყო; თან, იქამდე ცოტა ხნით ადრე ეთხოვა დახმარება ხელმწიფისათვის, მაგრამ მაშინ მისთვის უარი ეთქვათ. ერეკლეს შეპირება, ვარაუდობდა თავდაპირველად კოლეგია, უფრო საძნელო საქმე იქნებოდა. მაგრამ ეს ვარაუდი უსაფუძვლო გამოდგა.

ქართველმა მეფეებმა და ხალხმა, პროფ. ცაგარელის თქმით, აღფრთოვანებით აღიქვეს დიდი




იმპერატრიცას მიმართვა, რომელიც მოუხმობდა ქრისტიანობის საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, და გამოთქვეს მზადყოფნა, დაუყოვნებლივ შეესრულებინათ „მართლმადიდებელი დედოფლის“ მოწოდება, რაც დაამტკიცეს კიდეც, როცა იბრძოდნენ ოსმალების წინააღმდეგ პორტასთან მთელი ხუთწლიანი ომის მანძილზე.

თვით ეკატერინეს სიგელები, პანინის წერილები, მენაპირე მმართველებისა და საგანგებოდ მივლინებული აგენტების ზემოქმედება, — ყველაფერი გამოიყენეს, რათა ქართველთათვის აეხსნათ, რა სარგებლობას მოუტანდა მათ ომში მონაწილეობა, სადაც რუსთა კორპუსსაც მიაშველებდნენ. ჰპირდებოდნენ ფულად დახმარებას, ზეციურ ჯილდოს — და „შეტანას ტრაქტატში“, ე. ი. პორტასთან დასადებ ტრაქტატში, რასაც ქართველი გამგებლები ითხოვდნენ. „ტრაქტატში შეტანა“ ნიშნავდა ოსმალეთის ფორმალურ ვალდებულებას, აღარ ხელ-ეყო საქართველოს ფარგლები.

ის ამბავი, რომ რუსეთის მოწოდებამ კეთილმადლიერი ნიადაგი ჰპოვა საქართველოს მიწა-წყალზედ, — არ არის გასაკვირი.

„მართლმადიდებლობისათვის ბრძოლა“ — ეს რაღაც ისეთი რამ არის, რასაც იმ დროის ქართველები იოლად გაიგებდნენ, ვინაიდან მათთვის ამ საქმეს უცხო ხილი არ ეთქმოდა. მაგრამ რელიგია ერთ-ერთი სტიმული იყო საპოლიტიკო ბრძოლისა, მისწრაფებისა, დაეცვათ და უზრუნველეყოთ თავიანთი დამოუკიდებლობა მტრულ ან სამტროდ მოკიდებულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის.

XVIII საუკუნის შუა ხანებში სოლომონი დასავლეთ, ერეკლე — აღმოსავლეთ საქართველოში თვალსაჩინო საპოლიტიკო წარმატებებს აღწევენ, და მაინც, მიუხედავად ამისა, — უფრო ზუსტად,



სწორედ ამიტომ, ისინი ეძებენ რუსეთის დახმარებას, ხოლო როდესაც მათ ეს დახმარება შესთავაზა, ენთუზიაზმით იღებენ მიწვევას.

სოლომონისა და ერეკლეს ყველა წარმატება სილაზე ნაგები ხუხულა იყო.

სპარსეთის სისუსტის, ხერხიანი პოლიტიკისა და მხედრული ნიჭის წყალობით, ერეკლემ „საქართველო აიყვანა იმ მნიშვნელობის საფეხურზე, რომლითაც იგი ცნობილი გახდა მეზობელი სახელმწიფოებისათვის“.

მაგრამ ერეკლეს მდგომარეობა ძალზე ორჭოფული იყო; ახლა იგი იღებს ხარკს განჯისა და ერევნისაგან; და უარის თქმის შემთხვევაში ქართლელთა და კახელთა რაზმები შეახსენებენ მათ, რა ვალდებულება აქვთ ნაკისრი. მაგრამ რა უნდა ქნან, თუ ირანში დადგა ნამდვილი მბრძანებელი, ყველასაგან აღიარებული? ერეკლეს სწყალობდა სწორედ ის გარემოება, რომ შაჰის ტახტი არავის არ ეკავა; ეს საუცხოოდ ესმოდათ. თვით ერეკლეს 1774 წლის აგვისტოს წიგნში პანინისადმი (Грамоты, etc. N185ძ ნათქვამია: „რაკიღა სპარსეთს შაჰი არ ჰყავს, მე ყაენებთან არა მარტო თანხმობით და მშვიდობით ვცხოვრობდი, არამედ მრავალის ჩემი ძალისხმევითა იქნობამდე მივიყვანე, რომ ზოგს ხარკს ვახდევინებდი“. თავ. ამილახვრის „Записка“-ში (ib., N 13ძ ირაკლისაგან მეზობელი სპარსელი ყაენების დაჯაბნა პირდაპირ არის ახსნილი იმით, რომ „ამჟამად, სპარსეთს შაჰიც არა ჰყავს, და მაშასადამე, არ არის ვინმე, ვისაც მიმართავდნენ თავიანთი წყენით, ვისაც რასმე შესჩივლებდნენ“. დაუღალავიშრომით, ხიფათითა და ომებით აღსავსე ათობით წლის მანძილზე მიღწეული Status quo — ხუხულასავით ჩამოიშლება. სპარსელი ყაენები, ოსმალო ფაშები, ლეკები — ყოველივე ეს ერთი ფეხის გადადგმაზეა, ისინი ყველანი გაფაციცებით ადევნებენ თვალს ყოველ მოძრაობას, ყოველ სიტყვას. საჭიროა, აწარმოო პოლიტიკა სამ ფრონტად, არ დაუშვა კოალიციები, მოთაფლო ერთი, შეეშველო მეორეს, დასაჯო მესამე. და რას აღწევენ გაუგონარი დაძაბვის ფასად? მარტოოდენ „დიდებას“, არკი — სიმშვიდეს, არკი — ხვალინდელი დღის უზრალო რწმენას. ასეთი საგარეო მდგომარეობა ქვეყნის შიგნით არსებულ უმდგრადობაზე რომ არის დამოკიდებული — ეს ნამეტნავად თვალშისაცემია. ჯერაც არიან ქართლის ტახტის მოძუძგურენი, ვახტანგის ჩამომავალნი; მათ ჰყავთ მომხრეები თავადაზნაურობაში, ხელის დამფარებლები — სპარსეთში. ერთ-ერთი ასეთი მაძიებელი, ვახტანგის ვაჟი პაატა, რომელსაც განათლება რუსეთსა და ინგლისში ჰქონდა მიღებული, ბევრს მოგზაურობდა ევროპაში, იყო თურქეთში, ერთხანს ცხოვრობდა სპარსეთში, ქერიმის დროს, შემდეგ — საქართველოში. რამდენიმე ქართლელმა თავადმა, რომელთაც ამოძრავებდათ ნაწილობრივ ერეკლესადმი პირადი მტრობის მოტივები, ნაწილობრივ ბაგრატოვანთა ძველი ქართლური შტოს ერთგულება — მოამზადეს შეთქმულება და გვირგვინი შესთავაზეს პაატას. შეთქმულ ლეგიტიმისტებს სიკვდილი მიუსაჯა საერო და სასულიერო დიდებულთა კრებამ. ეს მოხდა 1765 წელს. ორგული მეზობლები თავშესაფარს არ უჭერენ არავის, ვინც განაწყენებულია, ვინც ბოლმა ჩაიხვია. არავითარ რეფორმაზე, არავითარ ახალ წამოწყებაზე არ შეიძლება ლაპარაკი, ვერაფერს ვერ მიიყვან ბოლომდე. სანამ საქმესააწყობდე და ფეხზე დააყენებდე, მოვლენ და ცეცხლს მიგცემენ, ყველაფერს გაგიძარცვავენ, გაგიპარტახებენ. არის გეგმები, არის იდეები, მაგრამ, ასეთ პირობებში, მათ ხორცშესხმა არ უწერია!

ქართველ მეფეებს, რომლებსაც არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ეურთიერთათ ევროპასთან, ვერც აზიაში სძლებდნენ და ვერც - აზიასთან ერთად, თუმცაღა, თითქმის ერთიანად იყვნენ დაკავშირებულნი მის რუტინასთან, სულ რუსეთისაკენ ეჭირათ თვალი. სხვა შვება მათ არ გააჩნდათ. და თუმცა ბევრს ვერაფერს სარგებელს შოულობდნენ ამ გზაზედ, თავიანთ მზერას კვლავ და კვლავ — ნიადაგ ჩრდილოეთს მიაპყრობდნენ.

რუსეთის მფარველობას რომ დაეძებდნენ და აღმოსავლეთის სახელმწიფოების თვითნებობისაგან დასაცავად გარანტიას რომ ესწრაფვოდნენ, ქართველ მეფეებს ყველაფერი გონივრულად ჰქონდათ აწონ-დაწონილი, ვინაიდან მხოლოდ საგარეო უვნებელყოფის პირობით შესძლებდნენ, წარმატებით დაეგვირგვინებინათ საქმე, რომელსაც აქამდე თავს ვერ ადგამდნენ — მოეთოკათ ვასალები და დაემყარებინათ სახელმწიფო წესრიგი.

თუ უვნებელყოფილნი იქნებოდნენ სპარსეთისა და თურქეთის მხარიდან, მაშინ ქართველები, ალბათ, შესძლებდნენ, მოევლოთ შინაური ძიშპისათვის და დასდგომოდნენ მეტ-ნაკლებად ნორმალური საზოგადოებრივი განვითარების გზას. აი, რა ამოძრავებდათ ერეკლეს და სოლომონს, ეძებნათ რუსეთის დახმარება, აი, რატომ გამოეხმაურნენ ასეთის სიხარულით მიწვევას, ერთად ემოქმედნათ ოსმალების წინააღმდეგ, იმ აშკარა ხიფათის მიუხედავად, რომელშიც ჩააგდებდა ეს ნაბიჯი.

მათ წინ მოუჩანდათ, როგორც რუსეთის მხარისაგან აღთქმული ჯილდო — ერთმორწმუნე სახელმწიფოს მფარველობა. ბედნიერება ახლოა და შესაძლებელი. ქართველთა მხრით ლაჩრობა იქნებოდა, ხელიდან რომ გაეშვათ ასეთი შანსი. მათ გარისკეს, როგორც თავის დროზე გარისკა ვახტანგმა — და კვლავ პირწმინდად წააგეს ყველაფერი.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ**

(გაგრძელება იქნება)

იბეჭდება შემოკლებით

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 203-212.

მეცნიერება

# დღე „ჩიპი“-ლინოს თავგადასავლის თანხლებით...



**2001 წელს იუნესკომ 10 ნოემბერი გამოაცხადა მეცნიერების ყოველწლიურ საერთაშორისო დღედ. ჩვენმა ქვეყანამ 2005 წლიდან „აიტაცა“ ეს მოწოდება და ახლახან მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოებამ (მისსა), ენერგიული პრეზიდენტის, პროფესორ რაფიელ ჩიქოვანის დიდი მოწადინებითა და მეცადინეობით უკვე მეოთხედ აღნიშნა სწავლულთა დღე.**

საზეიმო სხდომა სასიამოვნო ამბით დაიწყო — თავმჯდომარემ ლამაზი თარიღი, 75 წლისთავი მიულოცა ჩვენს გამოჩენილ ქიმიკოსს, აკადემიკოს გივი ცინცაძეს. იუბილარს გადაეცა მისსა-ის საპატიო მედალი, მისალოცი ადრესი და სამახსოვრო საჩუქარი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მცირე სააქტო დარბაზში შეკრებილმა მეცნიერულმა საზოგადოებრიობამ ცხოველი ინტერესით მოისმინა მოხსენებები „თანამედროვე ქიმიის უახლოესი მიღწევები“ — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის თამაზ მარსაგიშვილისა და „ჩიპის“ თავგადასავალი (ინტეგრალური სქემა პოპულარულად)“ — პროფესორ რაფიელ ჩიქოვანისა.

— მე „ჩიპი“ ვარ, პატარებისათვის საყვარელ ხრაშუნა „ჩიპსში“ არ აგერიოთ — მე ვარ, რაცა ვარ საინფორმაციო ტექნოლოგიებისთვისო, — ასეთი ხუმრობით დაიწყო „ჩიპმა“ საკუთარი თავგადასავლის მოყოლა და მალე სულაც არა სახუმარო მუქარაც მოაყოლა:

— წარმოიდგინეთ, რომ მე გავქრი. იცით, რა მოხდება?

პერსონალური კომპიუტერები უმოქმედო რკინის ყუთებად იქცევიან, გაქრება ინტერნეტი, გაჩნდება სრული ინფორმაციული ვაკუუმი.

დადუმდებიან მობილურები, კავშირი ყველასთან შეწყდება.

გამოუყენებელ საგნებად გადაიქცევიან ტელევიზორები, ვიდეო თუ აუდიოაპარატურა, ელექტრონული საათები, ელექტრონული სათამაშოები, კალკულატორები...

ბოლომდე ასე ცოცხლად დაგვიხატა თავისი თავი „ჩიპმა“, ანუ ინტეგრალურმა სქემამ იმდღევანდელი „მამობილის“ — ბატონი რაფიელის ენა-პირით.

მერე ისევ დაჯილდოების სასიამოვნო ცერემონიალი გაიმართა: მეცნიერების ისტორიაში (მექანიკა, მათემატიკა) გამოქვეყნებული შრომებისათვის მისსა-ის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით 500 დოლარი ფულადი პრემია მიენიჭა დოქტორ ნოდარ მახვილაძეს; პრესაში მეცნიერების მრავალწლიანი პოპულარიზაციისათვის საზოგადოების საპატიო მედლის (ვერცხლის მედლის) კავალერი აგრეთვე გახდა ჟურნალისტი თამაზ ებანოიძე (ეს ჯილდო შარშანდელი ფულადი პრემიის გაგრძელებააო — გაეხუმრა სხდომის წამყვანი).

ყველაფერი რომ დამთავრდა, მცირე ინტერვიუ ვთხოვე პროფესორ **რაფიელ ჩიქოვანს:**

— სტუ-ის ხელმძღვანელობისადმი მადლობით დავიწყებ, მეორედ რომ მოგვცა მეცნიერების დღის აღნიშვნის შესაძლებლობა. დასანანია, რომ შარშან და წლეულს მხოლოდ ორ ნომინაციაში მოხერხდა, წინა წლებისაგან განსხვავებით, კონკურსის გამოცხადება — სპონსორები არ გამოგვიჩნდნენ და იმიტომ.

ასევე დასანანია, რომ წელს მასმედიის ხაზით არც ერთი განაცხადი არ შემოვიდა და შესაბამისი პრემია გაუცემელი დარჩა.

გთხოვთ, უთუოდ მოიხსენიოთ ცნობილი ფიზიკოს-ექსპერიმენტატორი, აკადემიკოსი თენგიზ სანაძე, რომელმაც საგანგებო ტექნოლოგიები შეიმუშავა და არაერთი სააკადემიო სახელობითი მედალი დაამზადა ჩვენი საზოგადოების სამახსოვრო მედლებთან ერთად.

**რამაზ ამბოკაძე**

ინფორმაცია



### დააჯილდოვეს წაგებული ომის „გმირები“

**თბილისის მერმა გიგი უგულავამ აგვისტოს მოვლენებისას გამოჩენილი მამაცობისთვის მერიის რამდენიმე სამსახურის ხელმძღვანელს ღირსების ორდენები გადასცა.**

**ღირსების ორდენები მიიღეს საგანგებო სიტუაციათა სამსახურის უფროსმა თემურ გიორგაძემ და კიდევ ორი სამსახურის ხელმძღვანელებმა. მედლებით დაჯილდოვდნენ ამავე სამსახურების თანამშრომლებიც.**

**როგორც თემურ გიორგაძემ დაჯილდოების შემდეგ განაცხადა, მისთვის აღნიშნული ჯილდო დიდი პატივია.**

### ტყეების აღდგენაში ლიტველები გვეხმარებიან

**საქართველოში იმყოფება ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლაიმონს ტალატ-კელპში და ლიტველ ბიზნესმენთა დელეგაცია.**

**როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერიასთან შეხვედრის შემდეგ ლიტველმა სტუმარმა განაცხადა, საქართველოში იმყოფება 20 ლიტვური კომპანიის წარმომადგენელი და ისინი მზად არიან საქართველოს დაეხმარონ დაზარალებული რეგიონების აღდგენაში, კერძოდ, მისივე ინფორმაციით, ერთ-ერთი კომპანია დაინტერესდა დაბომბვის შედეგად დამწვარი ტყეების აღდგენის პროცესით.**

**— საქართველო იმსახურებს ევროკავშირისა და ნატოს წევრობას, — განაცხადა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.**

ინტერპრესნიუსი

გლობუსი

# როცა არჩევნები

**აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებით გამოწვეული საყოველთაო ვნებათაღელვა ნელ-ნელა ცხრება. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ მსგავსი, ამ ქვეყანას არ ახსოვს, არა იმიტომ, რომ რიგით 44-ე პრეზიდენტის სავარძლისთვის მებრძოლმა კანდიდატებმა, საარჩევნო პერიოდში მილიარდამდე დოლარი დახარჯეს (მაკქეინმა — 300-ზე, ხოლო ობამამ — 600 მილიონზე მეტი), არამედ პირველად, ამერიკის ახალგაზრდა ისტორიაში, ერთმანეთს დაუპირისპირდა აფროამერიკელი ბარაკ ობამა და თეთრი ჯონ მაკქეინი.** ვნებათაღელვას სხვა მომენტიც იწვევდა — რესპუბლიკელთა გამარჯვების შემთხვევაში, პირველი ქალი ვიცე-პრეზიდენტი, რომელსაც თავისუფლად შეეძლო პრეზიდენტად გახდომა ასაკოვანი (72 წლის) მაკქეინის ავადმყოფობის ან გარდაცვალების შემთხვევაში. იყო სხვა ინტრიგაც. თუნდაც ობამას გამოუცდელობა. დიდ პოლიტიკაში 47 წლის ობამა სულ ოთხი წელია, რაც გამოჩნდა. მართალია, მას აკადემიური განათლება აქვს მიღებული და როგორც პოლიტოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი აცხადებს, ბრწყინვალე განათლების მფლობელია, მაგრამ მარტო თეორიული ცოდნა არ არის საკმარისი მსოფლიოს პირველი ქვეყნის მართვისთვის. ამერიკელ პოლიტიკოსთა აზრით, ქვეყნის პირველ პირს ცხოვრებისეული გამოცდილებაც ესაჭიროება.

ბუშის ადმინისტრაციის უდიდეს დამსახურებას უნდა მიეწეროს 8 წლის განმავლობაში ქვეყანაში და აქედან გამომდინარე მთელს მსოფლიოში გაჩენილი, როგორც ფინანსურ-ეკონომიკური, ისე პოლიტიკური პრობლემები, თუმცა სიტყვა „პრობლემები“ ნამდვილად ვერ გამოხატავს იმ ვითარებას, რასაც მსოფლიოს ეკონომიკაში აქვს ადგილი. კრიზისი და თანაც ღრმა, რაშიც ნეოკონსერვატორმა ბუშმა, საკუთარი მრწამსის წყალობით, შეიყვანა ქვეყანა, სერიოზული თავსატკივარი იქნება ახალი პრეზიდენტისთვის.

ბუშის ადმინისტრაციამ ყველაფერი იღონა, რომ პრეზიდენტის არჩევნებში ხელისუფლებაზე გაგულისებულ უფრო მეტ ამერიკელს მიეღო მონაწილეობა, მეტად ეგულშემატკივრა, მეტი ცრემლი ეღვარა და გამარჯვებულზე მეტი შამპანური დაელია. ცრემლი და შამპანური, ამომრჩევლის გამარჯვების წყურვილი და გამარჯვების შემდეგ, ამერიკის ქალაქების ქუჩებში გამოსული ზღვა ხალხი იყო პასუხი 8-წლიანი რეაქციული პოლიტიკისა, რომელმაც ჩიხში შეიყვანა ამერიკა. ხალხმა მხარი დაუჭირა საერთაშორისო საკითხებში დიალოგის მომხრეს, იარაღის ნაკლებ მოტრფიალეს, ახალი საფინანსო-ეკონომიკური კურსის გამტარებელს.



დიდი მეცადინეობა დასჭირდა ბუშსა და მის ადმინისტრაციას, რომ მუდამ ოპტიმისტი ამერიკელი აეტირებინა, და არა მარტო ამერიკელი. ამერიკაში დაწყებული საფინანსო კრიზისი მსოფლიოს ატირებს. ფინანსური პრობლემებით გამოწვეული ცრემლები ყველგან გაჩნდა, ისე, როგორც ერაყ-ავღანეთში დაღუპულ მეომართა ცხედრები.

ამერიკის არჩევნები მართლაცდა საყოველთაო, მსოფლიო არჩევნები იყო. მას ისევე განიცდიდნენ აფრიკელები, აზიელები, ევროპელები, როგორც ამერიკელები. მათგან უმრავლესობას ობამას გამარჯვების დიდი სურვილი ჰქონდა, მაკქეინის მომხრე სახელმწიფოთა რაოდენობა ერთობ შეზღუდული აღმოჩნდა — ისრაელი, საქართველო და საქართველოს მსგავსი ერთი-ორი ქვეყანა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ობამას თავისად მიიჩნევენ, მისი იმედი აქვთ, მისგან ბევრს მოელიან. უპირველესად იმას, რომ ობამას და მისი ადმინისტრაციის მხრიდან წაიშლება განუზომელი ქედმაღლობა, რამაც მსოფლიო ამერიკელთა წინააღმდეგ განაწყო.

ამერიკის პრეზიდენტებისთვის განკუთვნილი 4, ხოლო მეორე გამარჯვების შემთხვევაში 8 წელი, საკმაო დროა იმისათვის, რომ მან საკუთარი ხელი დაატყოს არა მარტო ამერიკას, არამედ მსოფლიოს (ასე იყო ბუშის შემთხვევაშიც). ამერიკა მსოფლიო ლიდერია და უახლოეს მომავალში შეძლებს პირველობის შენარჩუნებას, მიუხედავად საფინანსო-ეკონომიკური კრიზისისა, თუმცა პრობლემები ზომაზე მეტია. უახლესი მონაცემებით უმუშევრობამ 7 პროცენტს მიუკაკუნა. სულ მალე მოსალოდნელია 240000 ახალი უმუშევრების გაჩენაც. მომავალი ორი წლის განმავლობაში, საკუთარი სახლების მფლობელი ამერიკელები, რომლებთაც ბანკის კრედიტით აქვთ სახლები შეძენილი, იძულებული იქნებიან დატოვონ საცხოვრებელი ან ერთბაშად დაფარონ ვალები. გარდა საშინაო პრობლემებისა, ამერიკას მძიმე ტვირთად აწევს ერაყის და ავღანეთის ომები. მათი გაგრძელების შემთხვევაში ქვეყანა კიდევ უფრო გაიუარესებს საშინაო ვითარებას.

შეძლებს ახალი პრეზიდენტი დანაპირები ცვლილებების ცხოვრებაში გატარებას? ძნელი სათქმელია, ვინაიდან პრეზიდენტი ერთია, მისი ადმინისტრაცია, კონგრესი, პოლიტიკური წრეები — მეორე. აშშ იმ მძიმეწონიან ტანკერს ჰგავს, რომლის კურსის ცვლას, შემობრუნებას დრო ესაჭიროება. ამერიკა პატარა კატარღა არ არის, რომ უცბად შემობრუნედეს. ბუშის ადმინისტრაციის მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებას არცთუ მცირე დრო დასჭირდება.

ამერიკას ახალი, თანაც შავკანიანი პრეზიდენტი ჰყავს. შავკანიანის ხსენება ქართველ „ინტელექტუალებში“ დიდ გაღიზიანებას იწვევს, უფრო მეტს, ვიდრე ამერიკაში. აფროამერიკელი და არა შავკანიანი, ამბობენ ისინი. გავიხსენოთ რა გულისწყრომით დააცხრნენ ისინი თავს ერთ ქართველ პოლიტიკოსს, რომელმაც კონდოლიზა რაისს შავკანიანი უწოდა. ეს როგორ შეიძლებაო, ეს მარაზმიაო, გაჰკიოდნენ რომის პაპზე მორწმუნენი. საინტერესოა, აღევნებდნენ თუ არა ისინი თვალს ამერიკის წინასაარჩევნო კამპანიას? და თუ აღევნებდნენ, არ ეხამუშებოდათ თვით შავკანიან ამერიკელ პოლიტიკოსთა მიერ არაერთხელ ნათქვამი „ბლექ ემერიკან“ (შავი ამერიკელი). მათ გასაგონად ვამბობ — ამერიკაში არავინ ერიდება კანის ფერის აღსანიშნავად სიტყვა „შავის“ გამოყენებას.

ის-ის იყო დასრულდა ამერიკის არჩევნები და რუსეთის პრეზიდენტმა პარლამენტართა წინაშე თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ აშშ-ის საპასუხოდ რუსეთი მზად არის განალაგოს საკუთარი რაკეტები კალინინგრადში. დასავლურმა ტელეკომპანიებმა, მათთან ერთად „რუსთავი-2“-მა უმალ აიტაცა მედვედევის განცხადება და გულისწყრომით აღნიშნა, ასეთი

დანაშაული და სასჯელი

# ვიდეოთვალი დამნაშავეს შერჩევით ავლენს



***ევროპის მოწინავე ქვეყნების წამბაძველი და არა გამოცდილების გადმომღებელმა ჩვენმა ხელისუფლებამ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით ცენტრალურ მაგისტრალებზე ვიდეოთვალების დამონტაჟების გადაწყვეტილება მიიღო. სპეციალისტები, რომლებიც კარგად ერკვევიან შეთავაზებულ ნოვაციაში, თავიდანვე აცხადებდნენ, რომ სიახლე დიდად არ შეცვლიდა გზებსა და მაგისტრალებზე არსებულ მდგომარეობას, ვიდეოთვალი დამნაშავეებს შერჩევით გამოავლენდა და დასჯიდა.***

### რატომ აკრიტიკებენ ვიდეოთვალს

**როგორც ირკვევა, ვიდეოთვალი მხოლოდ 20 ლარამდე ჯარიმით გათვალისწინებულ დარღვევებზე რეაგირებს (შუქ-ნიშნის არდამორჩილება, დგომა-გაჩერების წესების დარღვევა და ა. შ.).**

ვიდეოთვალის მუშაობის პრინციპი შემდეგია: ოპერატორები სხედან საერთო ოთახში, თითოეულ მათგანს უდგას მონიტორი. თუ მან დარღვევა შენიშნა, ის ფიქსირდება, რასაც კლავიატურის მეშვეობით კომპიუტერს ამახსოვრებინებს. საღამოს ყველა ოპერატორი თავის ნამუშევარს პირად უფროსს წარუდგენს. იგი კი საკუთარი შეხედულებით არჩევს მიწოდებულ მასალას და საგზაო პატრულში აგზავნის. აქ, კვლავ ხდება მიწოდებულის გადახედვა. ხელმძღვანელობა არჩევს „შავსიაში“ შესაყვანთ და შეკვეთილი ფოსტით ტრანსპორტის მფლობელს დაფიქსირებულ მისამართზე სახლში საჯარიმო ქვითარს უგზავნის.

ერთი შეხედვით ამ ელემენტარული პროცედურის აღსრულებას ბევრი პრობლემა ექმნება. პირველი ის, რომ ნაადრევად და მოუმზადებლად გაუქმებული ჩაწერის ინსტიტუტის გამო მფლობელი შეიძლება ერთ მისამართზე იყოს დარეგისტრირებული, სინამდვილეში კი სხვაგან ცხოვრობდეს.

მიუხედავად სპეციალისტების რჩევებისა, რომ არ შეიძლებოდა ტრანსპორტის ყოფილი მფლობელისგან მისი აღრიცხვიდან მოუხსნელად ახალი მფლობელის ხელში გადასვლა, მთავრობამ მოსახლეობაში ქულების ჩასაწერად ეს გაუაზრებელი გადაწყვეტილება მაინც მიიღო. შედეგად მივიღეთ ის, რომ ოპერატიული თუ საგზაო პოლიცია დამნაშავე ტრანსპორტის, მისი მფლობელის დადგენის შემთხვევაში, მიაკითხავს თუ არა პოტენციურ ეჭვმიტანილს, ჩნდება წინააღმდეგობები. კერძოდ ძველ მფლობელს გაყიდული ჰყავს მანქანა. მან იცის (ან შეგნებულად არ ამბობს) ახალი მფლობელის ვინაობა. სამართალდამცავები ამ პიროვნებასაც აკითხავენ. ირკვევა, რომ თავის მხრივ მასაც სხვაზე გაუთვისებია საკუთარი ქონება და ა. შ.

წესით, საჯარიმო ქვითარი მძღოლს, მისი ოჯახის წევრს, ან მეზობელს მაინც უნდა ჩაბარდეს, რაც ხელმოწერით დასტურდება. თუ ეს ვერ მოხერხდა, ქვითარი ჩაუბარებელი რჩება. დარღვევის ვიდეოჩანაწერი და ოქმი შსს-ს კომპიუტერულ ქსელში რჩება. როდესაც დაფიქსირებული ტრანსპორტის მფლობელს საგზაო სარეგისტრაციო სამსახურში უწევს მისვლა (ამგვარი ვიზიტები ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობების მფლობელებს სხვადასხვა პერიოდულობით უხდებათ), აღმოაჩენს, რომ იგი დაჯარიმებულია. ამასთან ერთად, საჯარიმო თანხის დროული გადაუხდელობის გამო მძღოლს საურავიც აქვს გადასახდელი. ჯარიმების ნიხრი კი ამგვარია — საჯარიმო თანხის (დანაშაულს გააჩნია) გადაუხდელობის გამო (ერთი თვე) თანხა ავტომატურად 150 ლარი ხდება, შემდეგ კი — 500-მდე. თვეების განმავლობაში საურავი პროგრესირებს.

### ვინ ამონტაჟებს ვიდეოთვალს

**შოთა წიკლაური (მძღოლი): „იმისათვის, რომ ტრანსპორტის მძღოლი, ან ფეხით მოსიარულე მოძრაობის უსაფრთხოებისთვის დააჯარიმო, ამისათვის ორივეს სათანადო პირობები უნდა შეუქმნა, რომ მათ დარღვევის აუცილებლობა ან სურვილი არ გაუჩნდეთ.**

მეტროსადგურ „ისნის“ ტერიტორიასთან ტრანსპორტით ისეა ჩახერგილი ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი, რომ წარმოუდგენელია ადამიანმა წესები არ დაარღვიოს. ისეთი პირობებია შექმნილი, რომ გადასვლის მსურველი მოქალაქე სიცოცხლის საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს, ხიფათის ქვეშ აგდებს მძღოლს და ქმნის ავარიულ სიტუაციას. მართალია ერთ მონაკვეთზე ვიდეოთვალი კი არის დამონტაჟებული, მაგრამ ზუსტად ამ „დაზიანებული“ ადგილისაკენ არ იყურება. ცხადია, რომ ის არაპროფესიონალებმა ბრმად დაამონტაჟეს. ამის გამოა, რომ ხშირია ავტოსაგზაო შემთხვევები. ყველაფერს თავად მძღოლები არკვევენ, რაც არც თუ იშვიათად კონფლიქტებსა და ხელით გაწევებში გადადის“.

სპეციალისტებს ეჭვი აქვთ, რომ ვიდეოთვალის ოპერატორებიც არ უნდა იყვნენ გამოცდილი, კვალიფიციური მუშაკები.

ერთი რამ კი ცხადია, რომ ვიდეოთვალის დამონტაჟებამ დიდად ვერ შეცვალა ქვეყნის, განსაკუთრებით დედაქალაქის გზებზე მდგომარეობა. თითქმის უცვლელია ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად მძიმე დაზიანებების მიმღებთა და გარდაცვლილთა რაოდენობა.

ვიდეოთვალი კი, როგორც ჩანს, ხელისუფლებამ არა იმდენად მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების, არამედ ბიუჯეტის შევსების მიზნით უფრო გამოიყენა.

**ზაზა ბილიხოძე.**

გლობუსი

# მართლაც დემოკრატიულია

მილოცვა იცის რუსეთმაო. „მილოცვის“ დრო მართლაც უხერხულად შეიძლება ჩაითვალოს ჩვეულებრივ ცხოვრებაში, მაგრამ პოლიტიკურში მას სხვა დატვირთვა აქვს. ის ყურადღების მიპყრობას უფრო ჰგავს, ამასთანავე სალაპარაკოდ გამოწვევას, თუმცა ერთობ მოუქნელად, რუსულად. ის, რომ რუსეთი პოლონეთ-ჩეხეთში სამომავლოდ განთავსებულ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის საპასუხო ღონისძიებას გაატარებდა, არახალია. ვაშინგტონში მიღებული გადაწყვეტილებისთანავე მან გამოთქვა შეშფოთება და ადეკვატური ნაბიჯების გადადგმის ვარაუდიც. ახალი ისაა, რომ დასავლეთი არ ელოდა რუსეთის მკვეთრ გადაწყვეტილებას. არ გამართლდა დასავლელთა გათვლა — იქაქანებენ, დაიღლებიან და გაჩერდებიანო.

ანალოგიური მოსაზრება არსებობდა და არსებობს საქართველო-უკრაინის ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით. რაც აშკარად მეტყველებს დასავლელ პოლიტიკოსთა მცდარ გათვლებზე. ანალოგიურ შეცდომასთან გვაქვს საქმე ცხინვალის ომთან დაკავშირებითაც. არ მოველოდით რუსეთის მხრიდან ასეთ რეაქციასო, აცხადებენ ქართველი და უცხოელი პოლიტიკოს-ანალიტიკოსები. არ მოელოდნენ და გადადგეს გამოუსწორებელი ნაბიჯი, რომელმაც დააკანონა ფაქტობრივად დაკარგული ტერიტორიების დამოუკიდებლობა. არ მოელოდნენ, თუ?... იქნებ გამოწვევა იყო? დაუჯერებელია, რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ცხოვრების შემსწავლელ ამერიკულ ინსტიტუტებს მსგავსი უსუსური შეცდომა დაეშვათ. ამას წინათ ბრიტანულმა „სანდი ტაიმსმა“ გამოაქვეყნა ბრიტანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის დევიდ ოუენის სტატია, სადაც ის წერს, რომ კონდოლიზა რაისი მოუწოდებდა სააკაშვილს ხელი აეღო სამხრეთ ოსეთზე თავდასხმისაგან, მაშინ, როდესაც ვაშინგტონის სხვა გავლენიანი წრეები აქეზებდნენ მას, გადაედგა ასეთი ნაბიჯი. ბოლოს სწორედ მათ იხსნეს სააკაშვილი სრული განადგურებისაგან. ბრიტანეთის თუნდაც ყოფილი მინისტრი უკეთ არის საქმეში ჩახედული.

დავუბრუნდეთ „საჩუქარს“. რუსულ „საჩუქართან“ ერთად, არც ბუშის „საჩუქარი“ იყო ნაკლებმნიშვნელოვანი. სწორედ გამარჯვების საათებში ამერიკელებმა მიწასთან გაასწორეს ავღანეთის ერთ-ერთ სოფელში მიმდინარე ქორწილი და როგორც მეორე დღეს თვით განაცხადეს — შეცდომით. შეცდომამ 40 ადამიანი შეიწირა, ამერიკელებმა ბოდიშიც მოიხადეს, მაგრამ არა მგონია ამან შვება მოუტანოს სი-ენ-ენის კადრში მტირალ ავღანელ მამაკაცს, რომელმაც ამერიკელთა შეცდომის შედეგად ოჯახის 6 წევრი დაკარგა. ორივე „საჩუქარი“ სამხედრო კუნთების თამაშის ნაყოფია. პირველს მსხვერპლი ჯერ არ მოჰყოლია, მეორე, ბოლო 7 წელიწადია საერთაშორისო სასაკლაოდ არის ქცეული და ასეც გაგრძელდება, ვიდრე მილიტარისტული, ამბიციური პოლიტიკა დიპლომატიით არ შეიცვლება.

ორი ომით და აქედან გამომდინარე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისით შეწუხებული მსოფლიო დიდი იმედით შეხვდა დემოკრატ ობამას გამარჯვებას, რომლის საარჩევნო განცხადებებში არაერთხელ აღინიშნა დიალოგის ომთან პრეროგატიულობაზე, რაც შეეხება სხვა „საჩუქარს“, ცნობისთვის აღვნიშნავ, რომ მედვედევმა ერთ-ერთმა პირველმა მიულოცა ობამას გამარჯვება.

ამერიკის არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებას და მის ირგვლივ შემოკრებილ საზოგადოებას თავისებური მიდგომა ჰქონდა, რომელიც უფრო მერკანტილურია, ვიდრე პოლიტიკური. მაკქეინი მხარს გვიჭერს (ხელისუფლებას), ჩვენც მას უნდა დავუჭიროთ მხარიო, გამოკითხულთა 47 პროცენტმა მხარი მაკქეინს დაუჭირა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ობამას გამარჯვებაზე ოცნებობდნენ, თუ გადაგვარჩენს, ის გადაგვარჩენსო (ცხადია, სააკაშვილის მმართველობიდან თავის დახსნას გულისხმობდნენ). ისე, როგორც წინათ, საზოგადოებაში ძველი სიმღერის ჰანგები ისმის, რომლის შინაარსი მარტივია — საკუთარი ხელისუფლების ვაშინგტონის ხელით შეცვლა. მაგრამ ამაში ქართულ საზოგადოებას არ გაემტყუნება, ვინაიდან მის მიერ გაკეთებული არჩევანი სწორედ ვაშინგტონმა შეცვალა და უტეხად განაცხადა — ქართველებმა ეს კი არა, ეს აირჩიეთო.

აშშ-ს არჩევნებმა ყველას დაანახა, მათ შორის ჩვენც, თუ რას ნიშნავს საარჩევნო დემოკრატია, მაგრამ ის ამერიკას მხოლოდ საკუთარი თავისთვის ემეტება და არა სხვისთვის. სხვისგან ის საარჩევნო დემოკრატიის ნაცვლად მონურ მორჩილებას მოითხოვს.

ახალი პრეზიდენტისთვის არანაკლებ ეკლიანი საჩუქარია საქართველოს ხელისუფალთა ნაბიჯი, რომელსაც 8 აგვისტო ჰქვია. ის, რომ 8 აგვისტომ მკვეთრად შეცვალა მსოფლიო პოლიტიკური ვითარება, მტკიცება არ სჭირდება. 8 აგვისტოს მთავარი შემოქმედი სააკაშვილი უდავოდ დაიმკვიდრებს ადგილს უახლეს ისტორიაში. 8 აგვისტომ დაანახა მსოფლიოს, რომ რუსეთი არ ჩაყლაპავს ამერიკის ჭარბ აქტიურობას კავკასიაში, რომ მოსკოვი უკან არ დაიხევს ძალის გამოყენებისგან, რომ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი აშშ იოლად არ გასწირავს თავს სატელიტისათვის. 8 აგვისტომ წაჰკიდა ერთმანეთს აშშ და რუსეთი, გაართულა ურთიერთობა ევროპასა და რუსეთს შორის. თვით ევროპაში გაჰყო აზრი კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს მიმართ. 8 აგვისტომ დააფიქრა ევროპა მილსადენების უსაფრთხოებაში. 8 აგვისტომ ფაქტობრივად და იურიდიულად დააკარგვინა საქართველოს ტერიტორიები, ფართო ავტონომიის მადა გაუღვივა საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებს. 8 აგვისტოდან გამომდინარე მრავალი პირველი და მეორეხარისხოვანი მომენტების ჩამოთვლა შეიძლება. აქედან გამომდინარე, სათანადო დასკვნების გაკეთებაც, თუმცა ამ მხრივ საქართველოს პოლიტიკური წრეები, მთლიანად საზოგადოება, თავს არ იტვირთავენ. ნაცვლად სერიოზული განსჯა-ანალიზისა და დაფიქრებისა, ადგილი აქვს სხვადასხვა ბრუნვაში თავის მართლებას, სიცრუის სიმართლედ წარმოსახვას და ამ „სიმართლეში“ თავის დარწმუნებას — რუსეთმა დაიწყო ომიო, რუსეთი დიდი ხანია ემზადებოდა საქართველოში შემოჭრისთვისო, საქართველო იძულებული იყო წინააღმდეგობა გაეწიაო, იძულებული ვიყავით გვეპასუხაო, 8 აგვისტო მაინც მოხდებოდაო და სხვა. მაგრამ საქართველო მარტო არ არის კავკასიაში, სხვებიც არიან და მათაც იციან, რა მოხდა, ოღონდ ჩვენგან განსხვავებით შესაბამისი დასკვნები გამოაქვთ, რომ მსგავსი არ განმეორდეს. ამის დამადასტურებელია მედვედევის თანდასწრებით ალიევ-სარგისიანის მიერ მოსკოვში ხელმოწერილი თავდაუსხმელობის ხელშეკრულება, თურქეთის აქტიურობა, შეცვალოს სომხეთთან დამოკიდებულება და სხვა.



8 აგვისტოს და მისგან გამომდინარე პრობლემებს მიეძღვნა კავკასიის სახელმწიფოთა ექსპერტ-პოლიტოლოგების პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც გასული თვის ბოლოს გაიმართა თურქეთის დედაქალაქ ანკარაში. მასში საქართველოს, რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის წარმომადგენლების გარდა მონაწილეობდნენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პოლიტიკოს-ექსპერტები. კონფერენციის ორგანიზატორთა — რუსეთ-თურქეთის სურვილია, რომ კონფერენციას პერმანენტული სახე მიეცეს. რეგიონის დიდი სახელმწიფოები გამოსავალს ეძებენ შექმნილი ვითარებიდან. თურქეთი, დღემდე ნეიტრალურ პოზიციაში მყოფი, აქტიურად ერთვება პროცესში. რას მოიტანს მისი და რუსეთის აქტიურობა, ან წაადგება თუ არა ის საქართველოს, 8 აგვისტოს შედეგად ყველაზე დაზარალებულ ქვეყანას, მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ სულაც არ იყო საჭირო ურმის გადაბრუნებისთვის ლოდინი. ნუთუ ძნელი იყო იმის გამოცნობა, რომ ხანძარი იფეთქებდა?

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# განუსჯელი საქართველო

**დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გაგებას, თუ რომელმა მხარემ მოახდინა აგვისტოს ომის ინიცირება რუსეთსა და საქართველოს შორის.** თუ დამნაშავე რუსეთია, როგორც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, მაშინ ობამას ახალი ადმინისტრაცია შეზღუდული იქნება თავის შესაძლებლობაში რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების დროს. თუ აღმოჩნდება, რომ დამნაშავენი არიან უმთავრესად ქართველები, მაშინ პრეზიდენტმა ობამამ უნდა აუხსნას სააკაშვილს, რომ საიმედო მოკავშირე არ წავა ვაშინგტონის ნების წინააღმდეგ და არ აიძულებს უშუალოდ ჩართოს ამერიკა რუსეთთან არასაჭირო კონფრონტაციაში.

სწორედ ამიტომ ობამამ უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ახალ მოხსენებებს ომის დაწყების შესახებ, რომლებიც გამოაქვეყნეს ეუთოს ეგიდით მომუშავე მეთვალყურეებმა. ეს მეთვალყურეები, რომლებიც 7-8 აგვისტოს იმყოფებოდნენ თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, იტყობინებიან, რომ მათ დაინახეს, თუ როგორ მოდიოდა საქართველოს არტილერია და სარაკეტო დანადგარები სამხრეთ ოსეთისკენ 7 აგვისტოს დღის სამ საათზე, დიდი ხნით ადრე მანამ, ვიდრე რუსეთის პირველი კოლონა შემოვიდოდა ანკლავის ტერიტორიაზე.

მათ დაადასტურეს აგრეთვე არავისგან პროვოცირებული სროლები სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის მიმართულებით იმავე დღის საღამოს. ჟურნალისტები ხედავდნენ მცხოვრებლებს, რომლებიც თავიანთ სახლებში იმალებოდნენ. და მეთვალყურეებს არაფერი გაუგონიათ, რაც დაადასტურებდა სააკაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ ცხინვალის მისამართით საარტილერიო სროლა იყო საქართველოს სოფლების მისამართით სროლების პასუხი.

არ არის საბაბი, ეჭვი შეიტანოთ ეუთოს მეთვალყურეების კომპეტენტურობასა და პატიოსნებაში. აუცილებელი დასკვნა ასეთია: სააკაშვილმა დაიწყო ეს ომი და ცრუობდა მის შესახებ. შეიძლება, კრემლმა შეიტანა თავისი წვლილი, როდესაც მოახდინა გარკვეული დროის განმავლობაში საქართველოს პროვოცირება – მისი რეაქცია ქართველების თავდასხმაზე კი იყო ხაზგასმით მკაცრი – მაგრამ ეს არ არის საბაბი სააკაშვილისათვის, რომ მოახდინოს თავისი თავის პროვოცირება.

**სარედაქციო სტატია**

**The Boston Globe**

# ქართული მოსახლეობა გარბის სოფლიდან, რომელსაც რუსეთის ჯარი ტოვებს

**„ნიუ-იორკ ტაიმსის" რეპორტიორები იტყობინებიან იმ რთული ვითარების შესახებ, რომელიც შექმნილია რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის სადავო ტერიტორიების გარშემო, კერძოდ – საზღვრისპირა სოფელ პერევის შესახებ, რომელიც რუსეთის ჯარებმა ორშაბათს გადასცეს ოსური ძალების გამგებლობაში. პერევზე პრეტენზია კონფლიქტის ორივე მხარეს აქვს.**

ამასთან დაკავშირებით ორშაბათს მკვეთრი განცხადება გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა: „ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა არ წამოვეგოთ ოკუპანტების პროვოკაციაზე, – განაცხადა მან. – უნდა გვესმოდეს, რომ საქართველო შევიდა მძიმე და ხანგრძლივ ომში თავისი მიწების გასათავისუფლებლად. და ამ ბრძოლაში ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ჩვენს პარტნიორებთან ერთად".

სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ იბრაგიმ გასიევმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ პერევი „უხსოვარი დროიდან" ეკუთვნის სამხრეთ ოსეთს და საქართველოს მხრიდან ნებისმიერი პროვოკაციის შემთხვევაში „ჩვენი რესპუბლიკა გასცემს ადეკვატურ პასუხს".

სოფელში ცხოვრობს დაახლოებით ერთი ათასი ეთნიკური ქართველი. ძალადობის შიშით მათ დაიწყეს სახლების სასწრაფოდ დატოვება. სოფლის სკოლა დაკეტილია, ხოლო ოსმა ჯარისკაცებმა საკონტროლო-გამტარ პუნქტზე არ გაატარეს პერევისკენ გამოძახებული სასწრაფო დახმარების მანქანა.

პერევში სისხლისღვრა თავიდან იქნა აცილებული, მაგრამ მახლობელ სოფელ დვანში დისტანციურად მართული ნაღმებით მოკლეს ორი ქართველი პოლიციელი, კიდევ სამი დაიჭრა, იტყობინებიან კორესპონდენტები. უფრო ადრე მოდიოდა ცნობები სხვა ინციდენტების შესახებაც.

ამერიკული გამოცემა აქვეყნებს საქართველოში ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის ხელმძღვანელის ჰანს-იორგ ჰაბერის სიტყვებს: მან ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენებას უწოდა „დაუშვებელი დარღვევა" რეჟიმისა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც „იმუქრება ძველებურად დაძაბული სიტუაციის ესკალაციით საზღვრების გასწვრივ". სამხრეთ ოსეთის მხარე ამ აფეთქებაში თავის მონაწილეობას უარყოფს.

**ოლესია ვართანიანი,**
**ელენ ბერი.**

**The New York Times**



# საქართველო, რუსეთი და ახალი ადმინისტრაცია

**ჩვენ შეიძლება ვთხოვოთ მსოფლიოს, მისცეს ობამას ამოსუნთქვის საშუალება, რათა წესრიგში მოიყვანოს თავისი აზრები, ვიდრე, როგორც ჯო ბაიდენი ამბობს, სხვა ქვეყნები „შეამოწმებენ მის სიმტკიცეს" ყოვლისმომცველი წარმოუდგენელი კრიზისებით.** არც ისე უგუნურია, როგორც გვეჩვენება, ეს იდეა – ვთხოვოთ მსოფლიოს დაელოდოს, თუ გავითვალისწინებთ, თუ ობამა ასე წარმატებით ახდენს კეთილი ნების გენერირებას უცხოეთში, და ბოლოს და ბოლოს, მისი გადაწყვეტილებანი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ სხვა ქვეყნების ბედზე.

ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც დაიწყებს გამოსვლას უსაფუძვლოდ, მოეპყრობიან, როგორც ძაღლს, რომელიც არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს, იმიტომ, რომ, ვის უნდა დასდო ბრალი, როდესაც ჯორჯ ბუში უკვე აღარ არის? მაგრამ ასე როდია სინამდვილეში, პოპულარობის მიზნით თალიბები ერთი საათითაც არ იტყვიან უარს თავიანთ ბარბაროსობაზე.

მაგრამ არის სხვა მიდგომაც: ჩვენ თავად შეგვიძლია მოვახდინოთ მსოფლიოზე ჩვენი ხედვის კორექტირება ისე, რომ კრიზისები არ გვეჩვენებოდეს მოსალოდნელად ან ისეთ მოვლენად, რომელიც გამოიწვევდა მორალურ ვალდებულებას. როგორც ჩანს, ეს იდეა იმარჯვებს. ამას ადასტურებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ატეხილი ხმაური რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებით. „ნიუ-იორკ ტაიმსმა" 6 ნოემბერს თავის დიდ მამხილებელ სტატიაში აღნიშნა, რომ ეუთოს მონაცემებით, თბილისმა მოახდინა საბრძოლო მოქმედებების ინიცირება და ეს გააკეთა ცეცხლის გახსნით სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის მიმართულებით. ამ დროს ის ყურადღებას არ აქცევდა მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები სულ საპირისპიროს ლაპარაკობენ. ამ დროს ყველა მხარე ეუთოს მიიჩნევს სანდო, მიუკერძოებელ ორგანიზაციად, რომელსაც აქვს რეგიონში მონიტორინგის ხანგრძლივი გამოცდილება.

8 ნოემბერს ბი-ბი-სი საიტზე გაჩნდა უცნაური ცნობა იმის შესახებ, რომ ეუთომ არ გააფრთხილა თავისი ქვეყნები მომავალი კონფლიქტის შესახებ. ბი-ბი-სის მოჰყავს ამ ორგანიზაციის მაღალი წარმომადგენლის სიტყვები, რომელიც მოგვიანებით გადადგა და რომელმაც განაცხადა, რომ იგი აფრთხილებდა თავის ხელმძღვანელობას საქართველოს სამხედრო აქტივობის შესახებ ჯარების სამხრეთ ოსეთში შესვლამდე, მაგრამ მისმა ხელმძღვანელობამ ამას ყურადღება არ მიაქცია. მისი ხელმძღვანელობა ამ განცხადებას დღეს უარყოფს.

რასაც უნდა ცდილობდეს ბი-ბი-სი, განცხადების ქვეტექსტი ცხადია თითოეულისათვის – საქართველო პირველი შეიჭრა სამხრეთ ოსეთში. თუ საქართველო პირველი შეიჭრა, მაშინ მოუხდენია რუსეთის პროვოცირება, რუსეთს არ შეეძლო რეაგირების გარეშე დარჩენილიყო, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი – მებრძოლი მანიაკია, ჩვენ უნდა დავიხიოთ მოსკოვთან კონფრონტაციისგან, ობამასთვის ეს სულაც არ არის კაზუსბელი „ახალი ცივი ომისათვის". ობამა ერთობ საღად მოაზროვნე და მიზანსწრაფული პოლიტიკოსია, რომ არ აჰყვეს ასეთ ცნობებს.

ნებისმიერ შემთხვევაში არჩევანი არ იყო: ექსპრეზიდენტი პუტინი და პრეზიდენტი მედვედევი განუხრელად ახორციელებენ იმპერიალისტურ კურსს. მედვედევმა მკაფიოდ გამოხატა თავისი განწყობილება, როდესაც მიმართავდა ფედერალურ კრებას, რომელშიც სიტყვაც არ იყო ნათქვამი ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნების შედეგების შესახებ. ესე იგი, რუსეთი მოქმედებს ცალმხრივად, რაც უნდა ხდებოდეს კიდევ სადმე.

საქართველო? მე საჯაროდ ვიცავდი საქართველოს მოქმედებას და პრეზიდენტი სააკაშვილი მიმაჩნია ჩემს მეგობრად. არაფერი არ შეცვლილა. აი, რეალურ მოვლენათა ქრონოლოგია, რომლებიც აღინიშნა 7-8 აგვისტოს, როდესაც შეჯახება გადაიზარდა სრულმასშტაბიან კონფლიქტში.

ჯერ ერთი, მე არ შემიძლია სადავოდ გავხადო ეუთოსა და „ტაიმსის" ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს თავდასხმამ გამოიწვია მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი. მე არასოდეს ვფიქრობდი, რომ ქართველები ახორციელებდნენ ზუსტ დარტყმებს და არ მიმაჩნია, რომ მათ ეს შეუძლიათ ისევე, როგორც რუსებს.

აგრეთვე მჯერა, რომ ქართველებმა რადიკალურად ასწიეს დაძაბულობის გრადუსი – ნამდვილად ისინი დაესხნენ პირველები. მაგრამ მათ ეს გააკეთეს, ვინაიდან იცოდნენ, რომ რუსების კოლონები შემოდიოდნენ როკის გვირაბში, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთს სამხრეთ ოსეთთან აერთებს. მიმდინარეობდა რუსეთის შემოჭრა. „ტაიმსის" სტატიაში ეს საკითხი კარგად არის გადაჭრილი: „ჯერჯერობით არც საქართველოს, არც მის დასავლელ მოკავშირეებს არ წარმოუდგენიათ დამადასტურებელი დოკუმენტები იმისა, რომ რუსეთმა დაიწყო ქვეყანაში შემოჭრა, ან ქართველების მდგომარეობა ოსეთის ზონაში იმდენად მძიმე იყო, რომ საჭირო გახდა, როგორც სააკაშვილი ამტკიცებს, ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია".

„საქართველომ წარმოადგინა სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთის ჯავშანსატანკო კოლონა შემოვიდა ანკლავის ტერიტორიაზე 7 აგვისტოს დილით, რაც იქნებოდა სამშვიდობო ოპერაციების წარმოების წესების დარღვევა. საქართველომ განაცხადა, რომ კოლონის შემოსვლა ნიშნავდა შემოჭრას. მაგრამ სატელეფონო საუბრების მონაცემები არაფერს ამბობენ კოლონის სიდიდის, მისი შემადგენლობისა და ამოცანების შესახებ, არ არის იმისი დასტური, რომ ისინი თავს ესხმოდნენ ქართულ ჯარებს საქართველოს მხრიდან სროლების გახსნამდე: რუსეთი ამტკიცებს, რომ საქმე შეეხებოდა ჯარების „გეგმიურ გადაადგილებას".

ეს პირფერობაა. შეუძლებელია იმის დაჯერება, რომ ორი დღის განმავლობაში რუსებმა საქართველოს საზღვართან მოიყვანეს 200 მთლიანად შეიარაღებული ტანკი და ეს იყო სპონტანური და დაუგეგმავი პასუხი აგრესიაზე. ეს ფაქტები არ არის არც დამაჯერებელი და არც ეფექტიანი. ორივე მხარემ იცოდა, რაც ელოდათ.

არსებობს არგუმენტი, რომლის თანახმადაც პირველი გასროლით სააკაშვილმა დაკარგა მორალური უპირატესობა პროპაგანდაში. და ეს გამოიყურებოდა ისე, თითქოს მან მოახდინა რეაქციის პროვოცირება. მეორე ვარიანტი იყო – მიეცათ რუსებისთვის შემოჭრის საშუალება და შემდეგ დაეწყოთ ტირილი, რათა მიეღოთ მორალური უპირატესობა. მან გადაწყვიტა პირველს გაეხსნა ცეცხლი. მან იცოდა, რომ ვერ გაიმარჯვებდა. რუსებს ჰქონდათ უპირატესობა ჰაერში, მაგრამ ყველაზე უარესი ის არის, რომ მან იცოდა – მისი მოკავშირეები ნებისმიერ შემთხვევაში არაფერს არ მოიმოქმედებდნენ.

დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი დაუკავშირდა თეთრ სახლს და მას იქ უთხრეს, როგორც მანამდეც ბევრჯერ უთქვამთ, რომ იგი მარტო იქნება. დაფიქრდით დროის არჩევანზე – ბუში პეკინშია, ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა დაიწყოს არჩევნები, სააკაშვილი საზღვარგარეთაა, ყველა – მათ შორის მისი მოკავშირეებიც – შვებულებაშია. რა გამოდის, ქართველებმა გადაწყვიტეს თავს დასხმოდნენ სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალს? არა ვფიქრობ.

არის კიდევ ერთი არასწორი წარმოდგენა, რასაც მნიშვნელოვნად ეტყობა ბინარული აზროვნება ამ საკითხთან დაკავშირებით: თითქოსდა ბუშის ადმინისტრაცია უბიძგებდა სააკაშვილს რუსეთთან კონფრონტაციას ან, უკიდურეს შემთხვევაში, ჰპირდებოდა მას მხარდაჭერას მოკავშირეების მხრიდან.

ეს აშკარა სიცრუეა. თბილისელი ინსაიდერები მეუბნებოდნენ, რომ საქართველო რამდენიმე წლის განმავლობაში თხოვდა ბუშისტებს საზენიტო რაკეტებს. ბუშისტები ყოველთვის უარსეუბნებოდნენ. საქართველომ შეძლო რამდენიმე მათგანის ყიდვა ისრაელში, მაგრამ იარაღის მიწოდება მოულოდნელად შეწყდა მიმდინარე წლის ზაფხულში – არავინ იცის რატომ, მაგრამ, როგორც ეტყობა, რუსებმა შეძლეს ისრაელის გადარწმუნება. რუსები მუდმივად აწყობდნენ პროვოკაციებს, არღვევდნენ საქართველოს საჰაერო სივრცეს, შეცდომით ყრიდნენ ხან ბომბებს, ხან რაკეტებს მინდვრებში. უფრო მეტიც, ბუშის ადმინისტრაციას არ ჰქონდა მომზადებული პრაქტიკული ღონისძიებანი მოსკოვის აგრესიის შესაჩერებლად. მხოლოდ „უოლსტრიტ ჯორნელის" მყრალი სტატიის შემდეგ 12 აგვისტოს ვაშინგტონი გადავიდა პრაქტიკულ ღონისძიებებზე. თეთრმა სახლმა პრეს-რელიზიც კი გამოუშვა, რომელშიც უარყოფდა გამოცემის მტკიცებებს. მაგრამ მან ზუსტად შეასრულა გამოცემის რეკომენდაციები: გაეგზავნა კონდი, მოეწყო ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება და ა.შ. როგორც ეტყობა, მადლობა უნდა ვუთხრათ გამოცემის რედკოლეგიას იმისათვის, რომ კონდი სასწრაფოდ გაემგზავრა თბილისში, როდესაც რუსეთის თვითმფრინავები ჯერ კიდევ დაფრინავდნენ საქართველოს თავზე, მადლობა, ალბათ, იმისთვისაც, რომ კონდის ჩასვლის შემდეგ რუსების ტანკები შეჩერდნენ თბილისის მისადგომებთან.

სააკაშვილი არასოდეს ყოფილა ვაშინგტონის შეუცვლელი მოკავშირე – ყოველ შემთხვევაში, მას არასოდეს შეეძლო რუსების შეჩერება. პუტინმა ეს იცოდა. ეტყობა, ჩვენ შევედით პოსტბუშის ახალ გასაოცარ სამყაროში, მაგრამ მან ძველებურად იცის ეს.

**მელიქ კაილანი**

**Forbes**

**ხედვა უცხოეთიდან**

# „ვფიქრობ, სამომავლოდ საქართველო იქნება ისეთი, როგორიც სინგაპური და ფინეთია – პატარა, ქმედითი და პროდუქტიული“...



– კავკასია ყოველთვის მაინტერესებდა, რადგანაც სტამბოლში დავიბადე. – მიყვება მელიკ კაილანი. – მხოლოდ ახლა აღმოვაჩინე, რომ მის მნიშვნელობაზე უფრო მეტი ვიცი, ვიდრე ამერიკელებმა და ევროპელებმა. მე ვგრძნობ, რომ რუსები მოგებას ნახულობენ იმით, რომ სამყარო კავკასიას იგნორირებს. საქართველოში ყოფნისას განსაკუთრებით მოვიხიბლე ქართული თეატრალური და საოპერო კულტურით. იგი ჰუმანისტური შეხედულებების საუკეთესო ხორცშესხმაა. ვფიქრობ, დასავლეთისგან განსხვავებით, ქართველი ინტელექტუალები უფრო მეტად ადამიანის მდგომარეობას აქცევენ ყურადღებას იმის საპირისპიროდ, რაც დამახასიათებელია სხვადასხვა დასავლური მიმართულებებისთვის, როგორიცაა პოსტმოდერნიზმი, პოპი, კიჩი, როგორც ნამდვილი კონსუმერული საზოგადოების ფორმა.

**– რა შთაბეჭდილება დაგრჩათ საქართველოსა და მის დასავლურობაზე?**

– საქართველო მსოფლიოს უსაყვარლესი ადგილია. დამერწმუნეთ, მსოფლიოში ბევრი რამ მაქვს ნანახი. მაგრამ საქართველოში კიდევ და კიდევ მინდა დავბრუნდე. სამყაროს ნაწილის გასაგებად საქართველოს მომავალი ძალიან მნიშვნელოვანია. თუ საქართველო წარმატებული იქნება, ჩვენ ყველა წარმატებულნი ვიქნებით. ყველანი უნდა დავეხმაროთ მას ამ წარმატების მისაღწევად.

მე საქართველოს დასავლეთის აღმოსავლურ არსად აღვიქვამ. მისი მითოლოგია დასავლური მითოლოგიის გენეზისური ტექსტის ნაწილია. საქართველო არის საზღვარი, სადაც დასავლეთი ეგზოტიკას ერწყმის. იგი დასავლეთის შედეგების შტოს მაგვარია, რომელიც სხვა ცივილიზაციებითაა გარშემორტყმული. რასაკვირველია, უფრო ადვილია გაჰყვე ამ შტოს, ვიდრე მის გადასხვაფერებას დიდი მანძილიდან შეეცადო.

**– როგორ შეაფასებდით ევროპის დამოკიდებულებას საქართველოში რუსეთის მიერ წარმოებულ აგვისტოს ბლიცკრიგისადმი?**

– სამწუხაროდ, ევროპა საქართველოს მხარს იმიტომ კი არ დაუჭერს, რომ მას საქართველო უყვარს, არამედ იმიტომ, რომ ევროპამ თავი უნდა დაიცვას. აგვისტოს ინტერვენცია ევროკავშირისთვის საფრთხის მანიშნებელი და ევროპის გამოსაფხიზლებელი ხმამაღალი განგაში იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირველი სამიზნე გახდა საქართველო, მერე იქნება უკრაინა, მერე – ბალტიის ქვეყნები, მერე – სერბია. პირველი იერიშის მერე არ ამოიწურება ბუნებრივი ლიმიტი. ევროპამ საკუთარი ისტორიიდან იცის, რომ თუ ის კვლავ გააგრძელებს მიწების გაცემას, მაშინ დროთა განმავლობაში იგი იძულებული იქნება სულ უფრო მეტი და მეტი გასცეს. ამავე დროს ევროპა მდიდარი და ზარმაცი გახდა. ნებისმიერ ვარიანტში ევროკავშირი უნდა გახდეს მოუდრეკელი ან უნდა დაეთანხმოს თურქეთს იმ საკითხში, რომ თავის დასაცავად სამხედრო ძალისხმევაა საჭირო.

**– ხშირად ამერიკელი ჩინოვნიკები, ექსპერტები (მათ შორის საქართველოში ამერიკის ელჩები) და ქართველი პოლიტიკოსებიც საკუთარ თავს ეკითხებიან, რატომ აინტერესებს ამერიკას საქართველო? და გაისმის ერთი პასუხი: რადგანაც საქართველოს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა უჭირავს! ამგვარი განაცხადი გვაღიზიანებს, რადგან გამოდის, რომ არა მდებარეობა, საქართველოსთვის თავს არავინ შეიწუხებდა? ხომ არ ფიქრობთ, რომ უკვე დადგა დრო, რომ დასავლეთის ამგვარი დამოკიდებულება ქვეყნების, განსაკუთრებით კი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ, შეიცვალოს?**

– დიახ. მე შევნიშნე, რომ საქართველო, იმ წარმოდგენის გამო, რაც მას უკავშირდება, კერძოდ კი მისი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო, თავს არაკომფორტულად გრძნობს. რატომ არის ეს გამაღიზიანებელი? ვფიქრობ, იმიტომ, რომ ქართველებს სჯერათ – ეს არგუმენტები რუსეთის ქმედებებს გაამართლებს. ქართველები მიიჩნევენ, რომ რუსეთი ემოციური და ირაციონალურია. სინამდვილეში კი რუსეთი ორ მიმართულებად ფიქრობს: სტრატეგიულად და ემოციურად. უფრო სწორედ ემოციურად და, საბოლოოდ, ირაციონალურად. სიმართლე კი ის არის, რომ რუსეთი იმპერიული სიდიადის დაბრუნებას ცდილობს, მთელი მსოფლიოდან ნებაყოფლობით პატივისცემას ელოდება. ისიც მართალია, რომ ამერიკელები ვერ შეიცნობენ, ვერ დაიცავენ საქართველოს მისი კულტურის, ისტორიის ან სილამაზის გამო. ამერიკას პრობლემები ისედაც აქვს თავისი შიდა ეთნოსუბკულტურების არსებობის გამო, ისეთების, როგორიცაა მექსიკური, ებრაული, შავი, ევანგელურ – ქრისტიანული, დომინიკანური და ა.შ. თანაც იმ დროს, როცა ყველას ყურადღება გაფართოებად მსოფლიოზეა გამახვილებული.

**– არსებობს სხვა აზრიც. ვფიქრობთ, რომ არა მ. სააკაშვილის ამერიკული განათლება და პრონატოური მიმართულება, ჩვენ ამერიკულ მხარდაჭერას ვერ მივიღებდით. ასეა?**

– დიახ, ვფიქრობ, რომ თქვენი მოსაზრება სავსებით სწორია. თანაც სააკაშვილი ამერიკელებს ახსენებს, რომ საქართველო არის, როგორც მინიმუმ, ერთი ქვეყანა, რომელსაც აშშ ყოველგვარი დათქმის გარეშე უყვარს. ქვეყნების უმრავლესობას აშშ-სგან მხოლოდ დახმარების მიღება სურს, თავად ამერიკაზე კი ისე ბრაზდებიან, როგორც თინეიჯერები და მათი მშობლები. სააკაშვილს ამერიკის ხალხთან კავშირის დამყარება და ქართველთა გრძნობების გადაცემა პირდაპირ შეუძლია. სააკაშვილი დასავლეთს ახსენებს, რომ თუ იგი საქართველოს არ დაიცავს, საქართველო იზოლირებული იქნება, ხოლო დასავლეთი იდეალიზმსა და თავის ისტორიულ ბერკეტს დაკარგავს.

**– როგორ აფასებთ საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობას 2007 წლის 7 ნოემბრამდე და მას მერე? იცით რა მოხდა?**

– დიახ, ვიცი, რაც მოხდა. და მე ვერ ვხედავ ამაში რაღაც მნიშვნელოვან განსაცვიფრებელ მომენტს. აშშ ასე ფიქრობს: წლების წინათ ამერიკის გარშემოც იყო შეთქმულებები და სახალხო მღელვარებები. დემოკრატია ასეთ რაღაცებს შეისრუტავს, ეგუება და უპასუხებს. საქართველო დემოკრატიაა და იგი საჭიროებისდა მიხედვით საზოგადოებრივი წნეხით თვითკორეგირების პროცესშია.

**– როგორ ფიქრობთ, საქართველოს დარჩა შანსი, რომ ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინოს იმ დროს, როცა ჩვენ ამ ბრძოლაში ვიყავით და კვლავ დამარცხებულნი ვართ? ამ საუკუნეში რაღა იყო დამარცხების მიზეზი: ბუქარესტი, დასავლური ორიენტაციის სურვილი, აგრესიული მეზობელი თუ ჩვენი ფატალური უიღბლობა?**

– მე მჯერა, რომ საქართველო გამოძვრება ამ სიტუაციიდან და გახდება უფრო უკეთესი და ძლიერი, ვიდრე მოსკოვი, რომელმაც თავისი ჭეშმარიტი სახე აჩვენა. ამას კი დრო სჭირდება. დრო დასჭირდა პოლონეთს, უნგრეთს, ბალტიისპირეთს. ძალიან ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ რუსეთი უკან მიდის სისუსტის პერიოდების გამო და ამიტომ შეეცდება თავისი საშინელი სტილის მეშვეობით ხელახლა გააძლიეროს გავლენის სფეროები. მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. რუსეთი რეალურად არ გახდა უფრო ძლიერი. თვალს თუ გადავავლებთ მის ეკონომიკასა და კომპეტენტურობის ეფექტიანობას, ეს ცხადი გახდება. საქართველო დაიტანჯა მომაკვდავი გიგანტის უკანასკნელი დარტყმისგან, მაგრამ ეს თქვენი მომავალი არ არის. ერთხელაც რუსეთში ინვესტიციების დონე, ნავთობის ფასი ისე დავარდება, როგორადაც – ახლა და მას კვლავ არასტაბილურობა და ქაოსი მოიცავს.

ვფიქრობ, რომ საქართველოში ცვლილებები უფრო მალე განხორციელდება, რადგანაც იგი გაცილებით პატარა ქვეყანაა. ეს განვითარების მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ, რაც ასევე მოიცავს სწორად მუშაობის ჩვევას, დისციპლინას, დემოკრატიას. მათი ამოქმედება უფრო ადვილია, რადგანაც თქვენთან დასავლეთის გავლენა უფრო ადვილად იკიდებს ფეხს. **ვფიქრობ, სამომავლოდ საქართველო იქნება ისეთი, როგორიც სინგაპური და ფინეთია – პატარა, ქმედითი და პროდუქტიული.**

**– როგორია აშშ-ის მედიის, განსაკუთრებით კი ბეჭდვითი მედიის გავლენის ხარისხი აშშ-ის საზოგადოებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე? სააკაშვილმა თქვა, რომ იგი პრესას არ კითხულობს. როგორ ფიქრობთ, ტელევიზია საკმარისია იმისთვის, რომ XXI საუკუნეში ქვეყნის შიგნითა და გარეთ მიმდინარე პროცესები გაიგო? ბეჭდვითი მედიის დრო წავიდა?**

– ვფიქრობ, განსხვავება იმაშია, რომ, როცა ადამიანები პრესას კითხულობენ, მათ კოლექტიურობის განცდის მომენტი არა აქვთ. ამგვარი დამოკიდებულება ადამიანებს რადიოსა და პრესის მიმართ არა აქვთ, ტელევიზიის მიმართ კი აქვს. ბეჭდვით მედიას არა აქვს მეგამომენტი, როცა ერთი და იგივე ცნობას ყველა ერთდროულად უსმენს და უყურებს. იგი ბრბოს მხედველობითი მგრძნობელობის საშუალებით საკუთარ სიძლიერეს აგრძნობინებს. როცა ერთი ადამიანი ტელეგადაცემას უყურებს, იგი გრძნობს, რომ მას მთელი ქვეყანა უყურებს, რაც მასში სიმულაციურად პოლიტიკური მოვლენის განცდას ქმნის. განვითარებულ ქვეყნებაში ახალგაზრდები ტელევიზიით ახალ ამბებს ასე ხშირად აღარ უყურებენ. მათ უპირატესად ინტერნეტი აინტერესებთ. ამჟამად საქართველო, ისევე როგორც რუსეთი, ამ პროცესს რამდენიმე წლით ჩამორჩება.

**– მსოფლიო ჩვენით ხომ არ დაიღლება? ხომ არ შევეჩეხებით „არც ომი და არც მშვიდობა“ სიტუაციას, რომელიც 7 აგვისტომდე, ლამის 20 წელი სუფევდა?**

– დიახ, ამ პროცესმა შეიძლება სწორედ ასე დიდხანს გასტანოს. თქვენ თქვენი ძლიერი მხარეები – ვაჭრობა, ალიანსები, დასავლური ინვესტიციები, განათლება, სამხედრო ძლიერება უნდა აშენოთ. **თქვენი სუსტი წერტილები საკუთარ თავზე თავისთავად იზრუნებს. სააკაშვილს ამის გაკეთება ძალიან სწრაფად უნდოდა და მისი შეცდომა სწორედ ის იყო, რომ იგი ზედმეტად წარმატებული აღმოჩნდა.** რუსებს არ მოსწონთ თავიანთი წყობის ალტერნატიული მოდელი, რომელიც მათ ზღურბლთან ყვავის. მათ ურჩევნიათ ცენტრალური აზიის მოდელი, რომელსაც ადვილად გააკონტროლებენ. საქართველომ კი სწორი გეზი აიღო და ასეც უნდა გააგრძელოს.

**– როცა საქართველოში დევნილ ბავშვებს კონფლიქტების მოგვარებას ვასწავლიდი, 13 წლის დევნილმა ბიჭმა ძალიან საინტერესო და სევდიანი კითხვა დამისვა: თუ ამერიკა ერაყსა და ავღანეთში პრობლემის გადასაჭრელად სამხედრო ძალას იყენებს, საქართველოს მთავრობას ჩემი სახლის დასაბრუნებლად ქართული ჯარის გამოყენება რატომ არ შეუძლიაო? პასუხი გრძელი იყო, თუმცა მივხვდი, რომ ბავშვმა ჩემი ახსნილი ვერ გაიგო. ეს კითხვა მე ვაშინგტონში „ამერიკის მშვიდობის ინსტიტუტის“ პროფესორს დავუსვი. მან მითხრა, რომ ეს წინააღმდეგობრივი საკითხია და ა.შ. ხომ ვერ დამეხმარებოდით ამ ბიჭს მისთვის გასაგებ ენაზე ვუპასუხო?**

– უბრალო პასუხი ასეთია: საქართველო არაა ისე ძლიერი, როგორიც – ამერიკა. სამწუხაროდ, აქ მტყუან-მართლის საკითხი არ დგას. ეს არის ძალის უპირატესობის საკითხი. საქართველო მარტო ვერ გაიმარჯვებს. ამას მოთმინება, დისციპლინა და ერთგულება სჭირდება. თქვენი სიძლიერის შენებას მეტი დრო უნდა დაუთმოთ. მე ვფიქრობ, რომ ისტორია საქართველოს მხარესაა.

**ია მერკვილაძე,**
„სრ“ საკ. კორ. ნიუ-იორკი, აშშ

დასასრული. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 211-212.

**როდის?**

სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკის განხორციელების, სახელმწიფო ენის ხელშეწყობის, ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვისა და სალიტერატურო ენის ნორმათა დამკვიდრების მიზნით 1997 წელს საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ამ საქმის გამოცდილი სპეციალისტი ბატონი ლევან ღვინჯილია. პრეზიდენტს დაქვემდებარებულმა ამ სტრუქტურამ, რომელიც მართლაც ქმედითუნარიანი იყო, სამწუხაროდ, მხოლოდ 7 წელიწადი იარსება.

## საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა აღდგება?

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ენის პალატა ჯერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაუქვემდებარეს, ხოლო მოგვიანებით საერთოდ გააუქმეს – ნაციონალებმა ჩათვალეს, რომ საქართველოში ისედაც „კარგად“ იციან ქართული და სტრუქტურა ზედმეტიაო!!!

საპარლამენტო წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას „ქრისტიან-დემოკრატების“ მიერ ენის პალატის აღდგენის საკითხზეც იყო ლაპარაკი, მაგრამ არჩევნებიდან რამდენიმე თვე გავიდა და არავინ არაფერს ამბობს. ამიტომაც, კომენტარი ვთხოვეთ საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ ხელმძღვანელს გიორგი ახვლედიანს: „ენის პალატის აღდგენის საკითხი აქტუალურად დგას დღის წესრიგში. საქართველოში ეროვნული, სახელმწიფო ენა სრულიად დაუცველია, ამიტომაც აუცილებელია ამ ურთულესი ვითარების გამოსწორება. ენის პალატა და ლევან ღვინჯილია თავის დროზე რეალურად იბრძოდნენ ქართული ენის სიწმინდის დასაცავად. გამოიკვეთა ენის პალატის კვლავ აღდგენის აუცილებლობა. ჩვენი სურვილია, რომ ეს სტრუქტურა იყოს არა რომელიმე სამინისტროს, არამედ პარლამენტის დაქვემდებარებაში. ჩვენ ვმართავთ შეხვედრებს, კონსულტაციებს და იმედი გვაქვს, რომ პარლამენტში უმრავლესობაც დაგვიჭერს მხარს, რადგან იქაც ძალიან ბევრი ეროვნულად მოაზროვნე პიროვნებაა. ქართული ენა უმრავლესობასაც სჭირდება და უმცირესობასაც. პირველ რიგში შეიქმნება საპარლამენტო კომისია, რომელიც იმსჯელებს, თუ რა ფორმით და ფორმატით დამკვიდრდება ეს ორგანიზაცია საქართველოში. იმედია, რომ ეს ყველაფერი ორ-სამ თვეში მოგვარდება“, – აღნიშნა გიორგი ახვლედიანმა.

იმედი ვიქონიოთ, რომ ქართულ ენას მართლაც გამოუჩნდება რეალური დამცველი.

**ლადო ქირია,**
ზუგდიდიდან

ფეხბურთი

# „სიონს“ მეორე სუნთქვა გაეხსნა

**რამდენიმე დღის წინათ თბილისის „ლოკომოტივმა“ ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრაში „ნახევარი ძალით“ იბრძოლა რუსთავის „ოლიმპთან“ და მეტოქე 3 ქულით გაისტუმრა ვაკიდან.**

საფიქრებელი იყო, რომ გათამაშების ლიდერის თავკაცმა გიორგი კიკნაძემ ყურადღება სათასო ბატალიებზე გადაიტანა და თავისი შეგირდები ბოლნისის „სიონთან“ გასამართი პირველი მეოთხედფინალური რაუნდისთვის დაზოგა. ვარაუდი არ გამართლდა. ეტყობა, რკინიგზელებს კრიზისი დაეწყოთ, რისგანაც მარათონული სეზონის განმავლობაში არც ერთი კლუბი არაა დაზღვეული.

საპირისპირო სურათია ოთარ კორღალიძის გუნდში. კერძოდ, ქვეყნის ექსჩემპიონს გვერდით უდგანან ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე და მისი მოადგილე, რაიონის ყოფილი გამგებელი და ბოლნისური კლუბის ასევე ყოფილი პრეზიდენტი გიორგი არევაძე, მათ ამაგს კი ბიჭები კარგი თამაშითა და ამ ბოლო დროს მომრავლებული წარმატებებით პასუხობენ.



...მატჩი იაშვილის გარღვევითა და ლომაიას კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანით დაიწყო. პენალტი უნაკლოდ შეასრულა სანიკიძემ და პარტნიორები დააწინაურა – 1:0. „სიონი“ განაგრძობდა იერიშებს, თუმცა მალე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სპორტში მოვლენები ყოველთვის როდი ვითარდება კანონზომიერად – სარალიძემ მოულოდნელად „გაისროლა“ შორიდან და ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

შესვენების შემდეგ მთავარი მოქმედი პირი სარბიელზე ახლადგამოსული ალავიძე გახდა. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ მან კუთხურიდან ბურთი თავზე დაასვა სვანიძეს და – 2:1. თბილისელთა მწვრთნელი იძულებული შეიქნა ბრძოლაში თავისი ჯოკერი ალექსიძე ჩაება. მას ათიოდე წუთი ეყო კიდევ ერთი საპასუხო გოლის გასატანად – 2:2, თუმცა გადამწყვეტი სიტყვა, სავსებით დამსახურებულად, მაინც სტუმრებმა თქვეს – 87-ე წუთზე სანიკიძემ შორეული საჯარიმოთი „დუბლი“ გაიფორმა – 3:2, რითაც მეორე შეხვედრას ინტერესი დაუკარგა.

**დანარჩენი მეოთხედფინალები ასე დასრულდა: *„ვიტ ჯორჯია“ – „მერანი“ (მარტვილი) 2:0, „ზესტაფონი“ – „დინამო“ 0:0, „ოლიმპი“ – „ამერი“ 3:0.***

ჭადრაკი

# საათებს დღეს ჩართავენ

**გუშინ საღამოს დრეზდენში საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელშიც ვაჟთა 149 და ქალთა 112 გუნდი მონაწილეობს. მოასპარეზეთა შორის არიან საქართველოს წარგზავნილები:** ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, მაია ლომინეიშვილი, სოფიკო ხუხაშვილი (კაპიტანი – ნინო გურიელი, მწვრთნელი – თორნიკე სანიკიძე); ბაადურ ჯობავა, ზვიად იზორია, მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია, დავით არუთინიანი (კაპიტანი – ზურაბ სტურუა, მწვრთნელი – ხვიჩა სუპატაშვილი). დელეგაციას ჭადრაკის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე ხელმძღვანელობს.



გერმანიაში გამგზავრების წინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში ქართველ დიდოსტატებს შეხვდნენ და გზა დაულოცეს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა.

– საჭადრაკო ოლიმპიადისთვის ჩვენი დიდოსტატები მონდომებით ემზადებოდნენ, – გვითხრა გია გიორგაძემ. – ბოლო საწვრთნელი შეკრება ბაკურიანში გავიარეთ, რომელიც ერთობ ნაყოფიერი გამოდგა. ორივე გუნდში ერთსულოვნებაა. ყოველივე ეს კი იმის საფუძველს გვაძლევს, რომ ქალები, ტრადიციულად, საპრიზო ადგილებისთვის, ვაჟები კი პირველ ათეულში მოსახვედრად იბრძოლებენ.

დრეზდენში საჭადრაკო ოლიმპიადა 13-25 ნოემბერს შვეიცარიული სისტემით 11 ტურად გაიმართება. ასპარეზობის მონაწილეები საათებს დღეს ჩართავენ.

ჭიდაობა

# ქართველები – თამაშგარეთ



**ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (FILA) წლის საუკეთესო ფალავნებად სამი ისეთი სპორტსმენი დაასახელა, რომლებმაც პეკინში ოლიმპიური ჩემპიონობა ვერ მოიპოვეს. თავისუფალი სტილით მოჭიდავეებში პირველ ნომრად ცნეს უკრაინელი ვასილი ფედორიშინი (60 კგ), წლევანდელი ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი, ევროპის ჩემპიონი და ოქროს გრან-პრის მფლობელი. ოღონდ, რით სჯობს ეს ჯილდოები რევაზ მინდორაშვილის ოლიმპიურ „ოქროს“ და ევროპის ჩემპიონატის „ვერცხლს“, ვერაფრით გაგვიგია.**

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში რჩეულის სახელი ხვდა აზერბაიჯანელ როვშან ბაირამოვს (55 კგ), ასევე ევროპის ჩემპიონსა და ოლიმპიადის მეორე პრიზიორს. ქალებში ბულგარელი სტანკა ზლატევა (72 კგ) გამოარჩიეს.

ინტერნეტიდან

## ტელეარხი დაარბიეს

**ეს საბერძნეთში მოხდა. ათენის ტელეარხ Extra-3-ზე მიმდინარეობდა გადაცემა საბერძნეთის ჩემპიონ „ოლიმპიაკოსზე“, როდესაც ტელეარხის შენობაში შეიჭრა საფეხბურთო კლუბ „პანათინაიკოსის“ ოცდაათამდე გულშემატკივარი. თავდამსხმელებმა დაიწყეს შენობის დარბევა. ისინი ისროდნენ ადვილად აალებადსითხიან ბოთლებს და ბეისბოლის ხელჯოხებით ამტვრევდნენ ავეჯს, შემდეგ შენობასთან მდგარ ავტომანქანებსაც შეესივნენ და 30-მდე მანქანა დაამსხვრიეს, საიდანაც ორი მთლიანად დაიწვა.**

დაწყებული ხანძარი სწრაფად ჩააქრეს. პოლიციამ კი 15 ყველაზე აქტიური მომხდური დააკავა. ცხრა მათგანი, ადრეც რომ იყო შენიშნული კანონდარღვევაში, პატიმრობაში დატოვეს.

შეგახსენებთ, რომ მათი ბოლო დერბი გასულ კვირას უშედეგოდ – 0:0 – დასრულდა. მხედველობაში მიიღეს რა ამ გუნდების გულშემატკივართა „ტრადიციული“ შეტაკებები, ამ ბოლო ხანს დერბის მატჩებზე მხოლოდ მასპინძელი გუნდის ქომაგებს ასწრებენ.



## ოლიმპიური თახსირი

**აშშ ოლიმპიური კომიტეტის ყოფილ წევრს ჯონ კრიმსკის სასამართლომ ექვსი წლით პატიმრობა მიუსაჯა სამი წლის შემდეგ ვადამდე განთავისუფლების უფლებით, თუმცა – ათი წლის განმავლობაში გამოსაცდელი ვადით.**



ალბათ იკითხავთ, ასეთი რა მძიმე დანაშაული ჩაიდინა სპორტულმა ფუნქციონერმაო? მას, პირველ რიგში, ბრალად ედება ბავშვთა პორნოგრაფიის შენახვა.

კრიმსკიმ აშშ პოლიცია დააეჭვა ჯერ კიდევ 2005 წელს, როდესაც ნიუ-იორკის ერთ-ერთი კრიმინალური ჯგუფის საქმიანობას იკვლევდა. კრიმკის კომპიუტერის გაჩხრეკისას აღმოუჩინეს 5-დან 15 წლამდე ბავშვების პორნოგრაფიული ხასიათის 329 მასალა, ასეთი ფოტოსურათები აღმოჩნდა ყოფილი ოლიმპიელის ელექტრონულ ფოსტაშიც.

მისი ადვოკატები სასამართლოს უმტკიცებდნენ ბრალდებულის აშკარა ფსიქოლოგიურ პრობლემებს, რის გამოც კრიმსკი მკაცრად არ უნდა დასჯილიყო, მაგრამ სასამართლომ ეს მხედველობაში არ მიიღო.

უნდა ითქვას, რომ კრიმსკი აშშ ოლიმპიურ სისტემაში მუშაობდა 1986-1999 წლებში. ამ დროს მან მოახერხა აშშ ოლიმპიური პროგრამის განხორციელებისთვის 2 მილიარდი დოლარის მიზიდვა. თუმცა, ამავე დროს, ის ფიგურირებდა იმ სკანდალში, რაც გამოიწვია 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად ამერიკული ქალაქის სოლთ-ლეიკ-სიტის გამარჯვებამ. მაშინ სოკ-ის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა კორუფციაში დაადანაშაულა ზოგიერთი კოლეგა, თითქოს მათ მიიღეს სოლთ-ლეიკ-სიტის საგანაცხადო კომიტეტისგან „ამხანაგური დახმარება“, რის გამოც 10 კაცი გარიცხეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან ან თავის ნებით წავიდა იქიდან.

## განა ჭორებს მუდამ დაეჯერება?

**ცნობილი ადამიანების შესახებ მრავალ ჭორს აგორებენ ხოლმე. გამონაკლისი არც სახელგანთქმული იტალიელი მოტომრბოლი ვალენტინო როსია. ამას წინათ მის შესახებ გაუშვეს ჭორი, ეს იტალიელი მაჩო არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისააო.** ამან, რასაკვირველია, საგონებელში ჩააგდო ამ ცნობილი სპორტსმენის ყველა თაყვანისმცემელი. თუმცა ამ დღეებში იტალიურ პრესაში გამოჩნდა ფოტოები – ვალენტინო იახტაზე გასარუჯად გაშიშვლებულ ლამაზმანთან ერთად. ეს იყო ნიდერლანდებში გრან-პრის გათამაშების შემდეგ.

ბუნებრივია, ხანგრძლივი დაძაბული შრომის შემდეგ დასვენება ყველას უნდა და ამაზე, ალბათ, როსიმაც იფიქრა. რათა სტრესი მოეხსნა, მოტომრბოლი დასასვენებლად იტალიის აღმოსავლეთ სანაპიროსკენ გაეშურა უცნობი ლამაზმანის კამპანიაში და მისი სასიყვარულო „თამაშები“ მალე გახდა საზოგადოებრიობისთვის ცნობილი, რასაკვირველია, მასმედიის წყალობით – ყველას აინტერესებდა, თუ ვინ იყო შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონის ახალი „დაქალი“.

პასუხიც მალე შეიტყვეს, ქალიშვილი თურმე მირეია ვილა ყოფილა, მისი განცხადებით, ის, კარგა ხანია, როსის საყვარელია. ხოლო ახლა სხვა ქალიშვილებთან დაღლილი მრბოლი ისევ თავის ძველ სატრფოს დაუბრუნდა.



გამოიცა

# გაგიხარიათ, გასახსენებელი ბევრი ჰქონდეს!..




**ახალმა დროებამ ჩვენში, პოლიტიკური პარტიებისა არ იყოს, გამომცემლობებიც გვარიანად მოამრავლა, მაგრამ „ინტელექტი“ (დირექტორი კახმებ კუდავაძე) მათში არ ჩაკარგულა და მართლაც ინტელექტუალური, მრავალფეროვანი, საგულისხმო პროდუქციით გამოირჩევა. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ახლახან გამოსული პროფესორ ჯულიეტა რუხაძის „მოგონებები“.**

მომგონებელი გახლავთ ჩვენი გამოჩენილი ეთნოლოგი (ადრე ვამბობდი „ეთნოგრაფი“ძ, ათეულობით მეცნიერული სტატიისა და არაერთი მონოგრაფიის ავტორი, წლების მანძილზე რომ წარმატებით უძღვებოდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში შესაბამის განყოფილებას, სადაც ამდენი ახალგაზრდა სპეციალისტი აღზარდა და დააკვალიანა; გახლავთ ვალმოხდილი, დამსახურებული, ყველასგან პატივის მისაგები და პატივგებული ქალბატონი.

„ცხოვრების 87-წელგავლილ ადამიანს, ბუნებრივია, უამრავი მოსაგონარი მაქვს. ცხოვრება ხომ ძალიან ტკბილია და თან ძალიან მწარე, მეისეთიც გამივლია და ასეთიც“ – ასე იწყებს წიგნს ავტორი. სიმწრისაგან ღმერთმა დაიფაროს და, უნდა ნახოს რა „ტკბილად“, თბილად, ტაქტიანად, შთამბეჭდავად უწერს სტრიქონსსტრიქონზე და იგონებს ცხოვრებიდან წასულ თავის მასწავლებლებს, კოლეგებს, თანამშრომლებს, ახლობლებს, აგრეთვე, რა თქმა უნდა, ჯანმრთელად მყოფთაც. გიორგი ჩიტაია, ვერა ბარდაველიძე, ალექსი რობაქიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ოთარ ჯინორია, გიორგი მელიქიშვილი, ელენე ვირსალაძე, ანდრია აფაქიძე, ეკა პრივალოვა, ანა კალანდაძე, თინა ყაუხჩიშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე, თამაზ გამყრელიძე, რომა შაქარაშვილი, როინ მეტრეველი (სარჩევის მიმდევრობით ჩამოთვლილიძ და სხვანიც – დამეთანხმებით, ერთობ სიმპათიური ნუსხაა და ნამდვილი სახელთცვენა.

ქალბატონ ჯულიეტას აქვს მახვილი, დაკვირვებული თვალი, ადამიანთა ინდივიდუალური თვისებებისა და შტრიხების „ჩავლების“, გამოვლენისა და გადმოცემის უნარი და ამიტომაც გამოუვიდა მშვენიერი პორტრეტული გალერეა. ნაშრომი განსაკუთრებით საგულისყუროა იმ მკითხველისთვის, ვინც ავტორის მოგონებათა სუბიექტებს პირადად იცნობდა ან იცნობს, ასეთი მკითხველი კი ცოტა როდია.

„არასოდეს გამნელებია ინტერესი, უფრო ღრმად ჩავწვდომოდი „სიცოცხლის ხის“ სამეცნიერო პრობლემატიკას. მიუხედავად ჩემი ასაკისა, კიდევ მაქვს სურვილი გამოსაცემად მოვამზადო წიგნი „სიცოცხლის ხე“, რომელშიც შევეცდები მთელი ჩემი სამეცნიერო მოწოდების შეჯამებას – „იმუქრება“ შესავალში ავტორი. ეს მოღვაწეობა ისე ნაყოფიერი და მრავალმხრივია, რომ ამგვარი შეჯამებაც ასევე შთამბეჭდავი გამოუვა.

ძალი და კალამიც შესწევს ქადილსა და მხოლოდ იმას ვისურვებდი, რომ არსთა განმრიგემ კვლავაც არ დაიშუროს ჯანმრთელი და პროდუქტიული სიცოცხლის წლები ქალბატონი ჯულიეტასთვის...

**თამაზ ებანოიძე**

# წიგნი ღვაწლმოსილ მეცნიერზე

**გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა „მასალების კრებული“, რომელიც ეძღვნება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი ჯავახიშვილის დაბადების 65 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავს.**




გ.ჯავახიშვილი თელავში ცხოვრობს და მოღვაწეობს და მისი გამოკვლევები და ნაშრომები ძირითადად კახეთისა და მისი სატახტო ქალაქის თელავის ლიტერატურულ და კულტურულ ცხოვრებას შეეხება. იგი ქართული ლიტერატურის ისტორიის, ფოლკლორისა და წიგნთმცოდნეობის საკითხების მკვლევარია. მას გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ათამდე წიგნი.

გ. ჯავახიშვილი ჩვენი სასიქადულო პოეტის გიორგი ლეონიძის აღზრდილია. ამაგდარ აღმზრდელს გაწეული სიკეთის პასუხად მან ორი მშვენიერი წიგნი უძღვნა.

გ. ჯავახიშვილი ნამდვილი ბიბლიოფილია. მან შეკრიბა და სისტემაში მოიყვანა 5000-ზე მეტი წიგნი. მის ბიბლიოთეკაში ინახება ავტოგრაფიანი წიგნების მდიდარი კოლექცია. აქ არის გ. ლეონიძის, ს. შანშიაშვილის, ი. აბაშიძის, ი. ნონეშვილის, მ. ბაჟანის, ნ. ტიხონოვის და სხვათა ავტოგრაფები.

წიგნში მკითხველი გაეცნობა გამოჩენილი ადამიანების (გ. ლეონიძის, აკ. შანიძის, ლ. გოთუას, ან. კალანდაძის, ნ. აგიაშვილის, გ. ჯიბლაძის, ს. შანშიაშვილის, ვ. ბერიძის და სხვათაძ პირად წერილებს, მიძღვნებს, რეცენზიებს თუ მილოცვებს გიორგი ჯავახიშვილისადმი.

წიგნში შეტანილია მეცნიერის არქივში დაცული ძვირფასი წერილობითი და ფოტო მასალები. ასევე გ.ჯავახიშვილის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი მოთხრობები („ციდეულები“ძ, რომლებიც სრული სახით პირველად იბეჭდება.

წიგნი შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს ლეილა ბაგრატიონ-ბაბადიშმა და ნანა რჩეულიშვილმა. გამოცემის რედაქტორია პროფესორი გიორგი გოცირიძე.

**ჯუმბერ მაღლაფერიძე**

# სს „დილას“ პარტნიორთა გადაწყვეტილება საწარმოს რეორგანიზაციის (გაყოფის) დაწყების შესახებ

ორიათას რვა წლის სამ ოქტომბერს მოწვეული იყო სს „დილას“ აქციონერთა საერთო კრება. კრება შედგა ორიათას რვა წლის სამ ოქტომბერს მისამართზე: ქ.გორი, ცხინვალის გზ. №8, დღის 15 საათზე. კრება გახსნა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ ლურსმანაშვილმა (დაბადებულმა 16.05.1963 წ.გორში, მცხ.გორი. მ.კოსტავას ქ.№65, პ/ნ 59001006476 პ/მ №ბ 0355917 გაცემული 21.12.2001 გორის შს სამმართველოს მიერძ, რომელმაც განაცხადა, რომ სს „დილას“ კრების მოწვევის თაობაზე გამოქვეყნებული იქნა ინფორმაცია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2008 წლის 06 სექტემბრის 167-ე ნომერში, სააღრიცხვო დღედ დადგენილი იყო 2008 წლის 10 სექტემბერი, ხოლო 2008 წლის 12 სექტემბრის 171-ე ნომერში გამოქვეყნებული იქნა კრების მოწვევის თარიღი, მისამართი და დღის წესრიგი.

სს „დილას“ კრებას ესწრებოდნენ აქციონერთა 91, 94 %-ის აქციათა მფლობელი აქციონერები: მიხეილ ლურსმანაშვილი 49,89%, რომელიც წარმოადგენს ასევე 2,1 %-ს მფლობელ ლელა ლურსმანაშვილის ინტერესებს მინდობილობის საფუძველზე დადასტურებული 2008 წლის 29 სექტემბერს ნოტარიუს მარიამ კობალაძის მიერ რ №1-5300-ით; ნუგზარ ლუსმანაშვილი 8,87%, ვასილ ტლაშაძე 5,99%, რომელიც წარმოადგენს აგრეთვე 0,005 %-ის მფლობელ ნურა ალხაზიშვილის ინტერესებს მინდობილობის საფუძველზე, რომელიც დადასტურებულია 2008 წლის 03 ოქტომბერს ნოტარიუს მარიამ კობალაძის მიერ რ №1-5386-ით და 0,005 %-ის მფლობელ მარინე ალხაზიშვილის ინტერესებს მინდობილობის საფუძველზე, რომელიც დადასტურებულია 2008 წლის 03 ოქტომბერს ნოტარიუს მარიამ კობალაძის მიერ რ №1-5385-ით; ვახტანგ ჯოხაძე 14,67%, დავით ჯოხაძე 0,03%, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს 0,012%-ის მფლობელი ელეონორა ჩიქოვანის ინტერესებს მინდობილობის საფუძველზე დადასტურებული 2008 წლის 01 ოქტომბერს ნოტარიუს მარიამ კობალაძის მიერ რ №1-5314-ით იოსებ ტეტუნაშვილი 5,99%, თამაზ სიდამონიძე 1,14%, ნოდარ მექვაბიძე 3,24%.

ამდენად სააქციო კრებას ესწრებოდნენ ხმის უფლების მქონე აქციონერთა 91,94% და კრება უფლებამოსლი იყო შედგომოდა მუშაობას და მიიღო გადაწყვეტილება. კრებას ესწრებოდა ნოტარიუსი ქ.გორში ლიანა გოგიაშვილი.

ბატონმა დავით ჯოხაძემ აღნიშნა, რომ სს „დილას“ ჰყავს 700 აქციონერი, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმეა მსხვილი აქციონერი, დანარჩენები კი ფლობენ აქციათა უმცირეს რაოდენობას და ჯამურად მათი წილი არ აღემატება 8%-ს. საწარმოს ამგვარი სახით არსებობა არის საკმაოდ მოუქნელი და მსხვილ აქციონერებს შორის კარგა ხანია მომწიფდა აზრი იმის თაობაზე, რომ სააქციო საზოგადოება გაიყოს დამოუკიდებელ ერთეულებად ისე, რომ თითოეულმა გააგრძელოს ფუნქციონირება დამოუკიდებლად საკუთარი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. აღნიშნული შესაძლებლობას იძლევა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14-13 მუხლით.

დღევანდელ კრებაზე წარმოდგენილია საზოგადოების კუთვნილი ქონების ინვენტარიზაციის აქტი. მიმაჩნია, რომ შესაძლებელია, რომ ინვენტარიზაციის აქტში მითითებული ქონება გაიყოს ნატურით დამოუკიდებელ საწარმოებს შორის, კერძოდ: სს „დილას“ რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდეს 5 (ხუთიძ სუბიექტი: 1.სს „დილა“ 8,002902 %; 2. შპს „იტერ ტექნო ლოგი“ 52,0049096 % – მიხეილ ლურსმანაშვილი, ლელა ლურსმანაშვილი; 3. შპს „ელიტ–NTV“ 14,723695% – ვახტანგ ჯოხაძე, დავით ჯოხაძე და ელეონორა ჩიქოვანი; 4. შპს „ნია 22“ 16,3923116 % – იოსებ ტატუნაშვილი, ვასილ ტლაშაძე, თამაზ სიდამონიძე, ნოდარ მექვაბიძე, ნურა ალხაზიშვილი და მარინე ალხაზიშვილი; 5. შპს „ნუგიო 22“ 8,8761818 % – ნუგზარ ლურსმანაშვილი.

მოხდეს სს „დილას“ ნატურით გაყოფა სუბიექტებს შორის შემდეგი სახით:

1. სს „დილა“ – 3380 კვ.მ. მიწის ფართი, – 1212,75 ლარი, ძირითადი საშუალებები – 30181,51 ლარი, სასაწყობო ნაშთები – 35918,65 ლარი, სულ ქონება – 67312,91 ლარი;

2. შპს „იტერ ტექნო ლოგი“ – 18561,93 კვ.მ. მიწის ფართი, – 6660,02 ლარი – ძირითადი საშუალებები – 211766,375 ლარი, სასაწყობო ნაშთები – 0 ლარი, სულ ქონება – 218426,395 ლარი;

3. შპს „ელიტ-NTV“ – 11660 კვ.მ. მიწის ფართი, – 4183,61 ლარი, ძირითადი საშუალებები – 42890,09 ლარი, სასაწყობო ნაშთები – 0 ლარი, სულ ქონება – 47073,7 ლარი;

4. შპს „ნია 22“ – 6057,07 კვ.მ. მიწის ფართი, – 2173,28 ლარი, ძირითადი საშუალებები – 138291,165 ლარი, სასაწყობო ნაშთები – 0 ლარი, სულ ქონება – 140464,445 ლარი;

5. შპს „ნუგიო 22“ – 582 კვ.მ. მიწის ფართი, – 208,82 ლარი, ძირითადი საშუალებები – 0 ლარი, სასაწყობო ნაშთები – 0 ლარი, სულ ქონება – 208,82 ლარი.

კრებამ ღია კენჭისყრით დაადგინა: სს „დილა“ გაიყოს 5(ხუთძ დამოუკიდებელ საწარმოდ: 1. სს „დილა“; 2. შპს „ინტერ ტექნო ლოგი“; 3. შპს „ელიტ-NTV“; 4. შპს„ნია 22“; 5. შპს „ნუგიო 22“.

სს „დილა“ აგრძელებს ფუნქციონირებას იგივე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ინვენტარიზაციის აქტში მითითებული ქონების ბაზაზე.

ახალი საწარმოები დამოუკიდებელ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნდეს მათთვის ნატურით გადაცემული ინვენტარიზაციის აქტში მითითებული ქონების ნაწილის ბაზაზე. დამტკიცდეს ქონების ნატურით გაყოფა წარმოდგენილი სახით. გაყოფის ხელშეკრულებაზე სს „დილას“ სახელით ხელმოწერის უფლება მიენიჭოს საზოგადოების დირექტორს. შევიდეს სათანადო ცვლილებები სამეწარმეო რეესტრში.

გადაწყვეტილება მიღებული იქნა კრებაზე დამსწრე ყველა აქციონერის მხარდაჭერით.

ამით სს „დილას“ აქციონერთა კრებამ მუშაობა დაამთავრა.

## გახსენება

### ჩვენო დაუვიწყარო სოსო!..



**სოსო, ღვინიასავით გადარჩეხილო უსამართლო ომში, თავადაც ღვინიაშვილო, ნეტა როგორა ვართ უშენოდ ცოცხლები! ბევრი მიზნები გქონდა, მაგრამ ვინ დაგაცალა მიზნების განხორციელება. სამშობლოს სიყვარულით შთაგონებულო, სულ ოცი წლისა იყავი მტრის ტყვია რომ მოგხვდა, 13 ნოემბერი შენი დაბადების დღეა, რა ძნელი იქნება ჩვენთვის – შენი მშობლებისა და ძმებისთვის ამ დღის გადატანა უშენოდ.**

**ლია, თენგიზ, დავით, გიორგი ღვინიაშვილები**

**სკოლის მეგობრები ანზორ შონია, ვაჟა კეიდია, თენგიზ მეუნარგია, გოგი თოდუა, ოთარ ბულია, არსენ ლოლუა, კარლო ვეკუა, გენო კობახიძე, ფელიქს იზორია თანაგრძნობას უცხადებენ რემი დეისაძეს ძმის**
**მურთაზ დეისაძის**
**გარდაცვალების გამო.**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი თანაგრძნობას უცხადებს აკადემიკოს გიორგი ციციშვილს და აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ვლადიმერ ციციშვილს მეუღლისა და დედის ქალბატონ**
**ლიდიას**
**გარდაცვალების გამო.**

**გურამ ცაგარეიშვილი და იზა სიხარულიძე სამძიმარს უცხადებენ და თანაუგრძნობენ აკადემიკოს გიორგიც ციციშვილს მეუღლის ქალბატონ**
**ლიდია ციციშვილის**
**გარდაცვალების გამო.**

**იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ღრმა თანაგრძნობას უცხადებს აკადემიკოს გიორგი ციციშვილს და აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ვლადიმერ ციციშვილს მეუღლისა და დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის**
**ლიდია ციციშვილის**
**გარდაცვალების გამო.**

## სულიერება

# თბილისში ხვარაზმელების მიერ წამებული 100 000 წმინდანის ხსოვნის დღე



**13 ნოემბერს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია იხსენიებს 100 000 წმინდანს, რომლებიც 1227 წელს ხვარაზმელებმა აწამეს.**

...ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ ხვარაზმის სულთანი ჯალალედინი საქართველოს საზღვრებს მოადგა და ათაბაგ ავაგ მხარგრძელს შესთავაზა: „აწ მნებავს, რათა შევერთნეთ მტკიცითა ფიცითა და ვბრძოლოთ მტერთა (მონღოლებს), რომელ მეფე თქვენი დედაკაცი არს და მყოთ ქმარ მისა და მეფე თქვენ ზედა და ვძლოთ ყოველთა მტერთა ჩვენთა, უკეთუ ესე არა ჰყოთ, მოოხრდეს სამეფო თქვენი“.

რუსუდანმა ავაგს უარი შეუთვალა... სულთანმა ლაშქარი თბილისისკენ დაძრა. ბრძოლის პირველ დღეს „ბრწყინვალე ძლევა აჩვენეს ქართველთა“, მაგრამ ღამით მტერი თბილისში აღმოჩნდა... სისხლის მდინარემ წალეკა ქალაქი, ქუჩები და მტკვარი გვამებით აივსო.

სულთანმა მოარღვევინა სიონის ტაძრის გუმბათი, გამოატანინა ტაძრიდან მაცხოვრისა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატები. დაასვენებინა ხიდზე და უბრძანა ქართველებს: „დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა“. ვინც ამას არ აღასრულებდა, „წარკუეთა თავთა“ ელოდა.

100 000 ქართველი შეეწირა ამ დღეს წმინდა ხატების თაყვანისცემას და სარწმუნოების დაცვას.

ერთ დღეს 100 000 წამებული — მსოფლიოში უპრეცედენტო ფაქტია!

თბილისში, მეტეხის ხიდთან მათი ხსენება განსაკუთრებული წირვა-ლოცვით აღესრულება.

საგულისხმოა, რომ ორშაბათობით, იმ ტაძარში, სადაც დაბრძანებული იქნება ასიათასი მოწამის ხატი, აღესრულება წირვა.

**გიული ლიპარტია**

## წკეპლიკები

# დემოკრატიული დიდკაცთა (და „დიდქალთა“!) ხელფასებიც უნდა გახდეს!

**გაუბედურებული ქვეყნის პრეზიდენტმა ერთ-ერთ პიარგამოსვლაში, დემოკრატიის ახალი ტალღა უნდა ავაგოროთ და ავახმიანოთო, ბრძანა.**

ამ ნაბრძანებმა ერთი ფიქრი გამიჩინა და გაზიარებას გავუბედავ, თუ რასაკვირველია, ქართული პრესის კითხვაც დაიწყო (ტელეარხ „კავკასიონის“ ყურება ხომ დაუწყია, აქედან — „ც“ძ.

ამდენ ინიციატივას რომ იჩენს (სხვისგან გამოჩენას რომ არცა აქვს აზრიძ, ამდენი წინადადებით რომ შედის (და გამოდისძ, ამა დანგრეული ქვეყნის ძლიერთა დიდი ხელფასების შეკვეცის თაოსნობითაც გამოვიდეს ცისფერ ეკრანზე, თორემ 1000-1500-2000-2500 და ა. შ. სარგოები (აკი ირგებენ კიდევაცძ ჩვენი საყოველთაო სიდუხჭირის ფონზე ნამეტანი თვალში საჩხერია და „ყვირის“... მეტადრე, დემოკრატიულობის სურვილის გამძაფრებისას...

მერე, თუ რამე გვეშველა და მივლაგ-მოვლაგდით, „ამოვისუნთქულეთ“ — ისევ მოიმატონ, რა, იმათი ნება არ არის?..

# პრემიერო, პრემიერო, შენ გეტრფი...

**აგვიტყდა მთავრობის მეთაურთა ცვლა, თითქოს გადამწვარი ნათურები იყოს, ანდა საფენები ოფლიანობისას... არადა რასაა, რომ არ გვპირდებიან — ჭრელი დედალივით გაკეთდებითო, ტერიტორიულ მთლიანობას აღგიდგენთო, დასაქმების პროგრამას მოგიგვარებთო, სამუშაო ადგილებს შეგიქმნითო, პენსიებს გაგიზრდითო, სოციალურ პირობებს გაგიუმჯობესებთო. ვინ დააცალათ, თვარა კი! ერთი კაცის ერთი ხელის აქნევა და — კუკუუ! სადღაა შენი პრემიერი!**

აგერ, შედგა მორიგი პრემიერის პრემიერაც, გაღმოდგა ის მორიგი ეკრანიდან და წამოვიდა მორიგი ავანსების ნაკადი. დაიმედდა აკაკი და არკადი... მე კი ერთმა დეტალმა დამაეჭვა: წამოყენებული პროგრამის ერთ პრიორიტეტულ პუნქტად ის გამოცხადდა, რომ თურმე პირველ რიგში უნდა დავიბრუნოთ ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების ომამდელი ტემპები. გონების თვალით გავხედე შვიდაგვისტომდელ საქართველოს და ეკონომიკის ვერა, მაგრამ ფასების „განვითარების“ სურათი კი აღვიდგინე; თუ შვიდ-რვა აგვისტომდე ჩემს უბედურ ქვეყანაში ეკონომიკა ვითარდებოდა, მაშინ რუსეთთან ომის ატეხვით კიდევ მეტად დაგვიშავებია. ეგ ეკონომიკური განვითარების ტემპები ნუთუ ანკარიდან ჩანდა ასე?

...ნუღარ გაუშვებ მალეო და გაუთენე ხვალეო, აცალე საქმის კეთება და მერე გამოცვალეო...

**ლუკა გორგაძე**

## კინოლოგია

# „აბაკონი“ კვლავ პირველია



1 ნოემბერს საქართველოს პროფესიონალთა და მოყვარულთა კინოლოგიურმა კავშირმა მოაწყო შეჯიბრი კინოლოგიურ მრავალჭიდში. მონაწილეობდა ოცი კინოლოგი სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლებით.

შეჯიბრება მოეწყო როგორც საერთო დისციპლინაში, ასევე დაბრკოლებათა გადალახვაში — „აქილიტში“, ასევე საყარაულო სამსახურში. შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი მიხეილ მოდებაძე.

ამ სანახაობამ მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. პირველი ადგილი და ჩემპიონის თასი კვლავ ვლადიმერ გევორქიანმა და მისმა გერმანულმა ნაგაზმა „აბაკონმა“ მიიღეს.

**თედო ნიკოლაიშვილი,**
*საქართველოს საპატიო მსაჯი კინოლოგიურ მრავალჭიდში.*

სურათზე: შეჯიბრების დროს.

## ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge
ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ. ფაქსი: 98-65-87.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

ტიპი დასასვენებლად სანატორიუმში მივიდა. ხედავს, ერთ-ერთი დამსვენებელი მოდის.

— აბა, როგორ გკვებავენ აქ? — ეკითხება მას ტიპი.

— პურს თუ მომცემ, გეტყვი.



* * *

— ვისგან გაიგე ეს საშინელი სიტყვები? — ეჩხუბება დედა მიხოს.

— თოვლის პაპისგან.

— შეუძლებელია.

— რა არის შეუძლებელი! ეს სიტყვები მაშინ თქვა, როცა ნიკამ თოვლის გუნდა თვალში მოარტყა.

* * *

ზანგის პოლიტკორექტული სახელწოდება — ობამანაირი.

* * *

ათწლეულების განმავლობაში სკკპ ხალხს არწმუნებდა, რომ კაპიტალიზმი — ეს ქურდობა და ყაჩაღობაა. მერე კი გორბაჩოვმა თქვა, ამხანაგებო, ყველანი კაპიტალისტები უნდა გავხდეთო. მისი ნათქვამი ადამიანებმა შესაბამისად გაიგეს კიდეც.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.